ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

4 ივლისიდან
ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
კბ რეფყ ბე
“ცბყუფგეჰბც ბცნჯჰბფ„
* კფჰბ




[esif,fsb7 @^ bdkbcb7 @)!@ 1176 (5866) afcb5 #) stshb

# ალავერდში ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის ფარული გარიგება შედგა“



გვ.2



## ნუგზარ წიკლაური: ფულს ტაშ-ფანდურსა და დუდუკებში არ ვხარჯავთ“

ნაციონალები ივანიშვილის გადარიცხულმა 80 მილიონმა შეაშფოთა



გვ.3

## ქეთი ბექაური: უცხოეთში მყოფი საქართველოს მილიონი მოქალაქე არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს“



გვ.5

## ზვიად ძიძიგური: არჩევნების შემდეგ ნაციონალები ოპოზიციაში გადავლენ“

გვ.4





## მაესტროს“ მხარდასაჭერი აქციები პერმანენტულად გაიმართება

გვ.5

## თარგამაძე ალავერდის ტაძრის გადასარჩენად თანხის გამოყოფას ითხოვს



გვ.3

## პრეზიდენტმა ცაიშელ როზა წყაბელიას მოუბოდიშა



გვ.2

4 ივლისიდან
ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
ვფბბც ბცნჯჰბფ
!) კფჰბ




ISSN 1987-9385

2 საბაქომ მაესტროს“ დაკავებული ქონების შემოტანის უფლება მისცა

2 დროებითმა მმართველმა ქართუ ჯგუფი“ უკვე დატოვა

4 რომან დუმბაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით კიდევ ერთი ქართველია დაკავებული

2 პარლამენტმა გენერალურ აუდიტორად ლაშა თორდია დაამტკიცა

კეჰ]ბ ობსტკბ .ღბსტკბ იფღბ

# „ალავერდში ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის ფარული გარიგება შედგა“

შორენა კოწოწაშვილი



ლეიბორისტები მიხეილ სააკაშვილსა და კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერ ბიძინა ივანიშვილს შორის შემდგარ ფარულ შეთანხმებაზე საუბრობენ და ოქტომბრის არჩევნების შედეგებს უკვე წინასწარ გაყალბებულად აცხადებენ.

შალვა ნათელაშვილის პარტიაში ამტკიცებენ, რომ ბიძინა ივანიშვილსა და პრეზიდენტ სააკაშვილს შორის ალავერდში ფარული შეთანხმება შედგა და სწორედ ამ მიზნით მოხდა ივანიშვილის მხრიდან 80 მლნ-ის გადახდა.

– სააკაშვილ-ივანიშვილს შორის ძველი სიამტკბილობა და სარფიანი ურთიერთობა სრულიად აღდგენილია. ამ ორ კრიმინალს შორის ალავერდში მიღწეული ფარული შეთანხმებით ოლიგარქმა ნაციონალურ მოძრაობას არჩევნების გასაყალბებლად 80 მლნ უკვე გადაურიცხა, სანაცვლოდ კი დაიბრუნებს საყვარელ ბანკებს. ორივეს კი კახელების უბედურება ისე აინტერესებს, როგორც ვირს სახარება. სააკაშვილ-ივანიშვილს მოვუწოდებთ, გაჭირვებულების ხარჯზე უზნეოდ საარჩევნო ქულების დაგროვების ნაცვლად მოპარული მილიარდებიდან 30-30 ათასი პირად ანგარიშზე გადაურიცხონ თითოეულ დაზარალებულ ოჯახს. ისინი ამ თანხით პრობლემებს მათ გარეშეც მოაგვარებენ, – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ. მისი თქმით, ალბათ, ბევრს არ სჯეროდა ლეიბორისტების განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ სააკაშვილს ივანიშვილი ფინანსურად ეხმარებოდა და 150-დან 180 მლნ ლარამდე ურიცხავდა იმ რეჟიმის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად, რომელიც დღეს არის ქვეყანაში.

– დღეს ისევ აღდგენილია ის ურთიერთობები. იმის სანაცვლოდ, რომ ივანიშვილი დაიბრუნებს „ქართუ ბანკს“ თავის საკუთრებაში, ივანიშვილმა უკვე გადარიცხა 80 მლნ ლარი და არავითარი კავშირი არა აქვს ამ 80 მლნ-ს კახეთში დაზარალებულებისა და იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რომელიც კახელებმა განიცადეს, – აღნიშნა ძაგანიამ. მისი თქმით, ეს არის პოლიტიკური შეთანხმება ორ კრიმინალს შორის, რომლებიც ხელისუფლების გადანაწილებას აპირებენ.

შალვა ნათელაშვილის პარტიაში ფიქრობენ, რომ ივანიშვილი საპატიო მეორე ადგილის შენარჩუნებას აპირებს, სააკაშვილი, ამ შეთანხმების თანახმად, ისევ ხელისუფლებაში დარჩენას და შემდეგ საპარლამენტო კოალიციის ჩამოყალიბებას.

– აი, ეს არის ფარული შეთანხმების მთავარი არსი, რომელიც შედგა რამდენიმე დღის წინ, – განაცხადა პრესკონფერენციის ბოლოს კახა ძაგანიამ. ის დარწმუნებულია, რომ ამ ფინანსური ორგანიზაციის – „ქართუ ბანკის“ გამოყენებას ორივე კრიმინალური დაჯგუფება იმისათვის აპირებს, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები გააყალბოს.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის მოლაპარაკებები უკვე შედგა, გადანაწილებულია საპარლამენტო კვოტები და არჩევნების შემდგომ გადაწყვეტილია კოალიციაში ერთად მუშაობა.

გუშინვე ძაგანიამ კომენტარი გააკეთა „აირაისა“ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებისა და პარტიების რეიტინგების შესახებ. ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიური მდივანი მიიჩნევს, რომ სააკაშვილის რეჟიმის არსებობის მთავარ საყრდენს საქართველოში ასეთი ინსტიტუტების არსებობა წარმოადგენს.

– უკვე მრავალი წელია, მათი მთავარი პრინციპი და მიზანია, შეაგუონ საქართველოს მოსახლეობა, ამომრჩეველი, რომ მათ მხარდამჭერ კონკრეტულ პოლიტიკურ კრიმინალურ ძალებს გააჩნიათ უზარმაზარი პოლიტიკური მხარდაჭერა. ჩვენთვის წარმოუდგენელია, უიდეო, კრიმინალურმა დაჯგუფებამ როგორ შეიძლება გაუწიოს კონკურენცია ეროვნულ სოციალურ პარტიებს, როგორიც არის თუნდაც ჩვენი პარტია, – განაცხადა კახა ძაგანიამ, რომელიც დარწმუნებულია, რომ ლეიბორისტებს საარჩევნო ბარიერის გადალახვა არ გაუჭირდებათ.

# დროებითმა მმართველმა „ქართუ ჯგუფი“ უკვე დატოვა

„ქართუ ჯგუფი“ დროებითმა მმართველმა ვლადიმერ უგულავამ უკვე დატოვა.

ამის შესახებ „ნიუსპრესს „ქართუ ჯგუფის“ იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა ალა კახნიაურმა განუცხადა.

მისი თქმით, ივანიშვილის მიერ ჯარიმის თანხის გადახდის შემდეგ, „ქართუ ჯგუფის“ დროებითი მმართველი ავტომატურად შეიცვალა.

„ამის შემდეგ ალბათ მიღებული იქნება გადაწყვეტილებები მის მიერ დანიშნული ხალხის შეცვლის თაობაზეც“ – განაცხადა კახნიაურმა.

მისივე თქმით, „ქართუ ბანკის“ გენერალური დირექტორი ნოდარ ჯავახიშვილი თანამდებობაზე ჯერ არ დაბრუნებულა. ამის შესახებ გადაწყვეტილებას „ქართუ ჯგუფის“ აქციონერები მიიღებენ.

დროებითი მმართველი „ქართუ ჯგუფსა“ და „პროგრეს ბანკში“ აღსრულების ეროვნული ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ 12 ივლისს დანიშნა, რომელმაც „ბანკი ქართუს“ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი დაითხოვა.

აღსრულების ეროვნულ ბიუროს აღსრულებას დაქვემდებარებული ქონების იძულებითი მართვის რეჟიმში გადაყვანის მოთხოვნით საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიმართა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 20 ივნისს გაცემული სააღსრულებო ფურცლების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, 26 ივნისს, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, ყადაღა დაადო ბიძინა ივანიშვილის აქციების 100%-ს სს „ქართუ ჯგუფში“ და აქციების 21.7%-ს სს „პროგრეს ბანკში“. შესაბამისად, აღსრულების ბიურომ „ქართუ ჯგუფის“ აქციების 100% და „პროგრეს ბანკის“ 21.7% აუქციონზე გაიტანა, რომელიც 10 ივლისს უშედეგოდ დასრულდა – ქონება არ გაიყიდა.

ბიძინა ივანიშვილს სასამართლომ ამომრჩევლის მოსყიდვის მიზეზით, 75 მლნ ლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრა, რომელიც მან უკვე სრულად გადაიხადა

ნიუსპრესი

# პარლამენტმა გენერალურ აუდიტორად ლაშა თორდია დაამტკიცა



პარლამენტმა გუშინდელ რიგგარეშე სესიაზე 83 ხმით 2-ის წინააღმდეგ, გენერალურ აუდიტორად ლაშა თორდია დაამტკიცა.

დღესვე, პარლამენტის სხდომაზე მისთვის დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ დადგენილებაც დამტკიცდა.

„ჩემთვის ამ მოწვევის პარლამენტში მუშაობა დიდი პატივი იყო. მრავალი გამოწვევა ერთად გადავიტანეთ და ჩვენს გუნდში ბზარი არასდროს გაჩენილა, ამიტომ, ყოველთვის ვიამაყებ“ – განაცხადა ლაშა თორდიამ კენჭისყრის შემდეგ.

დავით ბაქრაძის შეფასებით, თორდიას აღმასრულებელი ხელისუფლების ლოჟაში დამსახურებულად შეუძლია გადასვლა.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით, გენერალურ აუდიტორს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, 5 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით საქართველოს პარლამენტი ნიშნავს.

ბეჟაშვილმა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება გუშინ გააკეთა, რომლის მიზეზად, კახეთში მომხდარი სტიქია და მისი მხრიდან მოსახლეობისთვის გვერდით დგომა დაასახელა.

ნიუსპრესი

# „მემარჯვენეები“ მერაბიშვილს მიმართავენ

ნათია ხურცილავა



„ახალი მემარჯვენეები“ კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების სამთავრობო ინიციატივებს არასაკმარისად აფასებენ და თვლიან, რომ თითოეული დაზარალებული ოჯახისთვის ზარალისა და საკომპენსაციო თანხის ოდენობა ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს.

ამის შესახებ პარტიის ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელმა ლევან კალანდაძემ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

– პრემიერის ინიციატივა, რომელიც გლეხებისთვის 300-დან 1500 ლარამდე საკომპენსაციო თანხის გაცემას ითვალისწინებს, არ არის საკმარისი. საჭიროა, თითოეული დაზარალებული ოჯახისთვის ზარალის შესაბამისად, საკომპენსაციო თანხის ოდენობა ინდივიდუალურად განისაზღვროს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან დაზარალებული ოჯახებისთვის გასაწევი ფულადი დახმარების მოცულობა შეესაბამებოდეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამ კონკრეტული ოჯახისთვის მიყენებულ ზარალს, – განაცხადა ლევან კალანდაძემ.

„ახალი მემარჯვენეები“ პრემიერ ვანო მერაბიშვილს მიმართავენ, უზრუნველყოს ფულადი დახმარებების გაცემის სამართლიანობის პრინციპი და თითოეული დაზარალებული ოჯახისათვის ზარალის ინდივიდუალური შეფასების წესი შემუშავდეს.

შეგახსენებთ, რომ კახეთის რეგიონში, მცხეთა-მთიანეთსა და სამცხე-ჯავახეთში რამდენიმე დღის წინ ძლიერი წვიმებისა და სეტყვის შედეგად მოსახლეობას მოსავალი და სახლები გაუნადგურდა.

# პრეზიდენტმა ცაიშელ როზა წყაბელიას მოუბოდიშა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სოფელ ცაიშში გუშინწინ მომხდარი ინციდენტის შედეგად დაზარალებული როზა წყაბელია მოინახულა და მას ბოდიში მოუხადა.



ქვეყნის პირველი პირი წყაბელიას, რომელსაც გუშინ მასთან შეხვედრის უფლება არ მისცეს, საკუთარ სახლში ეწვია და პირადად მოისმინა ის პრობლემები, რაზეც ცაიშის მკვიდრს პრეზიდენტთან საუბარი სურდა.

„როცა თქვენი ამბავი გავიგე, მაშინვე წამოვედი. მე ყოველთვის ვიყავი, ვარ და დავრჩები გაჭირვებულების დამცველად საქართველოში. ვინც ჩემსა და იმ გაჭირვებულ ადამიანებს შორის ჩადგება, რომლებსაც ჩემთან მოსვლა და თავისი გაჭირვების შესახებ საუბარი სურს, პასუხს ვაგებინებთ. ეს იქნება დიდი გაკვეთილი იმისთვის, ვისაც ჩემსა და გაჭირვებულს შორის ჩადგომა სურს. ძალიან გაბრაზებული ვარ. თქვენც გაგაბრაზეს, მაგრამ მე შეურაცხყოფილი ვიყავი. ვერასდროს ვერავინ უნდა გაბედოს, რომ ჩემსა და იმ ადამიანს შორის ჩადგეს, რომელსაც უჭირს“, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა როზა წყაბელიას ოჯახს დახმარება აღუთქვა და პირობა დადო, რომ სახელმწიფო გაჭირვებულ ადამიანებს მოუფრთხილდება.

„მომავალი წლიდან გექნებათ 1000 ლარიანი ვაუჩერი, რაც ოჯახს ნამდვილად გამოადგება იმისთვის, რომ გადასახადები გადაიხადოთ და წამლები იყიდოთ. ყველაზე მეტად თქვენისთანა ადამიანებს უნდა მოვუაროთ და მოვუფრთხილდეთ. თქვენისთანა ოჯახები ჩვენი მთავარი ზრუნვის საგანია. არ დაგტოვებთ გაჭირვებაში და არ დავტოვებთ არც ერთ გაჭირვებულ ოჯახს. ჩემი მთავრობა და მე ვართ ყველაზე მთავარი დამცველი გაჭირვებულების. ვართ და ვიქნებით და ვერავინ ჩემსა და გაჭირვებულებს შორის ვერ ჩადგება. ეს ყველამ კარგად დაიმახსოვროს“, – აღნიშნა სააკაშვილმა.



ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში მომხდარი ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა დღეს მედიით გავრცელდა. კადრებში ჩანს, რომ სოფლის მკვიდრი როზა წყაბელია ჟურნალისტებს ინტერვიუს აძლევდა, როცა მასთან უცნობები მიცვივდნენ და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. წყაბელია სოციალურად დაუცველია და ის ჟურნალისტებს საკუთარ პრობლემებზე უყვებოდა, რაც მოგვიანებით პრეზიდენტისთვის უნდა გაეზიარებინა. სამართალდამცველებმა ცაიშში მომხდარ ინციდენტში მონაწილე პირები ბაკურ მალიშავა და გია გუგუჩია უკვე დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულებს, რომელმაც მოქალაქე როზა წყაბელიას შეურაცხყოფა მიაყენეს, ადგილობრივმა სასამართლომ 15-დღიანი პატიმრობა შეუფარდა.

ინტერპრესნიუსი

# საბაჟომ „მაესტროს“ დაკავებული ქონების შემოტანის უფლება მისცა



ტელეკომპანია „მაესტროს“, ლარსის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე გაჩერებული ქონება შეყოვნების მიზეზის აუხსნელად გამოატანეს. ამის შესახებ „ნიუსპრესს“ „მაესტროს“ გენერალურმა დირექტორმა ბაჩო კიკაბიძემ განუცხადა. მისი თქმით, ტელეკომპანიის კუთვნილი ტვირთი – დეკორაციისთვის განკუთვნილი მონიტორები, რომელიც „მაესტროს“ განახლებული სტუდიისთვის სჭირდება საბაჟოზე იყო გაჩერებული ისე, რომ ამის მიზეზი არ აუხსნიათ.

„სამი დღეა გვაწვალებენ – ხან ტექნიკური პრობლემაა, ხან სერვერის, დღეს მივედით საბაჟოზე მე და ლაშა ტუღუში, სადაც განგვიცხადეს, რომ არავითარი პრობლემა არ იყო და ტვირთის წაღება შეგვეძლო“ - განაცხადა კიკაბიძემ.

მისი თქმით, ჯერჯერობით, უცნობია არის თუ არა ქონება დაზიანებული, ვინაიდან ამის დადგენას გარკვეული დრო სჭირდება.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# თარგამაძე ალავერდის ტაძრის გადასარჩენად თანხის გამოყოფას ითხოვს

თეა მარხვაიძე

**ალავერდის სამონასტრო კომპლექსი სერიოზული საფრთხის ქვეშ არის. სპეციალისტები და სასულიერო პირები უკვე დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, რომ მონასტერი შეიძლება კიდევ დაიტბოროს.**



ალავერდის გარშემო არსებულ ვითარებაზე გუშინ პარლამენტშიც საუბრობდნენ.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე ხელისუფლებას ალავერდის ტაძრის გადასარჩენად სახსრების გამოყოფას ურჩევს.

– უკვე ერთი წელია, ალავერდის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ვითარებას სახელმწიფო კომისია სწავლობს. ვითარება იგივეა და მონასტრის ტერიტორია ყოველი წვიმის შედეგად იტბორება. დროა, გადავიდეთ მოქმედებაზე, პროექტზე მუშაობა დავასრულოთ და ღონისძიებები დავაფინანსოთ, რომ ალავერდი გადავარჩინოთ. საფრთხე რეალურია. ყოველი წვიმის დროს სველდება საძირკველი, რის გამოც ტაძარი საფრთხის წინაშეა, – განაცხადა გუშინდელ სხდომაზე გიორგი თარგამაძემ.

რამდენიმე დღის წინ ალავერდის მონასტრის მღვდელმონაზონმა იოსებმა განაცხადა, რომ მონასტერი საფრთხეშია. მისი ინფორმაციით, 19 ივლისის სტიქიის შედეგად ალავერდის მონასტრის ტერიტორია ორჯერ უკვე დაიტბორა და ტაძარი კიდევ ერთ დატბორვას ველარ გაუძლებს. ძლიერი წვიმების შედეგად მდინარე ადიდდა, ტაძარსა და მდინარეს შორის აშენებულ გალავანზე გადავიდა და ეზოში შევარდა. მოვარდნილმა წყალმა მონასტრის მიმდებარედ წინა წელს აშენებული დამცავი დამბები ამოავსო და მონასტრის ტერიტორია დატბორა.

– საშიშროება თანდათან იზრდება. თუ ასე გაგრძელდა, ნატანი კალაპოტში აღარ დაეტევა და იმაზე უარესი მოხდება, რაც გუშინ იყო, – აცხადებს მონასტრის მღვდელმონაზონი.

მღვდელმონაზვნის თქმით, მდინარის კალაპოტის გაწმენდის სამუშაოები დროულად უნდა დაიწყოს.

ალავერდის მონასტრის შესაძლო დატბორვაზე განცხადება ჯერ კიდევ აპრილში გაკეთდა.

2011 წლის წყალმოვარდნების შედეგად ალავერდის ტაძრის მიმდებარე ტერიტორია ორჯერ დაიტბორა. მნიშვნელოვნად დაზარალდა სამონასტრო მეურნეობა, საფრთხე შეექმნა უნიკალურ ფრესკებსა და სიძველეებს.

სპეციალისტების განცხადებით, სახელმწიფო და საერთაშორისო დაფინანსებით განხორციელებული პრევენციული სამუშაოების მიუხედავად, ტაძრის უსაფრთხოება დაცული არ არის. არსებობს სტიქიის გამეორების საფრთხე, რამაც შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშს.

2012 წლის 30 აპრილს ალავერდის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერმა უმასპინძლა სემინარ „კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის პროგრამას", რომლის მიზანიც ალავერდთან დაკავშირებული ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვის კოორდინაციული გეგმის შემუშავება იყო.

მაშინ ხელისუფლებამ სპეციალისტების რჩევა ყურად არ იღო და, ალბათ, არავის ეგონა, რომ 19 ივლისი დადგებოდა. ამ დღემ კახეთი სტიქიური უბედურების ზონად აქცია. იმედია, ხელისუფლება დროულად მიხედავს ამ უნიკალურ მონასტერს, რომელიც შარშან ორჯერ დაიტბორა.

# ნუგზარ წიკლაური: ფულს ტაშ-ფანდურსა და დუდუკებში არ ვხარჯავთ"

## ნაციონალები ივანიშვილის გადარიცხულმა 80 მილიონმა შეაშფოთა

თეა მარხვაიძე



ავეჯისა და ტექნიკისგან დაცლილ პარლამენტში გუშინ რიგგარეშე სხდომა გაიმართა. დეპუტატები საზაფხულო დასვენებას კახეთში დატრიალებული სტიქიური უბედურების გამო მოსწყდნენ.

სტიქიამ კახეთს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. ამ ზარალის აღმოსაფხვრელად ათეულობით მილიონი ლარია საჭირო. ამას კი საბიუჯეტო ცვლილებები სჭირდება. სწორედ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების გამო შეიკრიბნენ გუშინ დეპუტატები.

გუშინდელი სხდომის მთავარი თემა ბიძინა ივანიშვილი და სტიქია იყო. ორშაბათს ცნობილი გახდა, რომ ბიძინა ივანიშვილმა 80 მილიონი გამოყო. ბიძინა ივანიშვილის პრესსპიკერ მაია ფანჯიკიძის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დასაფარად და კომპენსაციების გასაცემად ბიძინა ივანიშვილის მიერ ბიუჯეტში გადარიცხული თანხა საკმარისი არ აღმოჩნდება, ეს უკანასკნელი აუცილებლად იპოვის გზას, თუ როგორ დაეხმაროს მოსახლეობას.

– ივანიშვილმა თავის პირველ განცხადებაში აღნიშნა, რომ იგი მზადაა, მთელი ზარალი აანაზღაუროს. ამ ეტაპზე ეს არის 80 მილიონი ლარი, რომელიც სრულიად კანონიერი გზით, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯარიმა უკანონო იყო, გადაირიცხა ბიუჯეტში. ეს თანხა უნდა მოხმარდეს დაზარალებულ მოსახლეობას, იმიტომ რომ ეს ბიუჯეტისთვის დაუგეგმავი თანხაა და, შესაბამისად, ახლა ბიუჯეტს აქვს საშუალება, ზარალი აანაზღაუროს და მოსახლეობას კომპენსაციები გაუკეთოს. თუ ეს არ იქნება საკმარისი, დამერწმუნეთ, ივანიშვილი იპოვის გზას, თუ როგორ დაეხმაროს მოსახლეობას. თუმცა ამაზე ლაპარაკი ახლა ნაადრევია, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

მისივე თქმით, სტიქიის შედეგად დაზარალებულმა მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ ბიუჯეტში მათი დახმარებისა და კომპენსაციისათვის თანხები არსებობს და მათ ეს ფული უნდა მოითხოვონ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ განცხადებამ ნაციონალებში შფოთი და ფორიაქი გამოიწვია. პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა ივანიშვილის ქმედებას ქველმოქმედების კვალიფიკაცია არ მისცა. მისი მტკიცებით, ივანიშვილის მთავარი მოტივაცია არა ქველმოქმედება, არამედ ბანკისთვის ყადაღის მოხსნა იყო.

– 25 ივლისს დილიდანვე „ქართუ ბანკის" ყოფილმა მმართველმა და ადვოკატებმა თქვეს, რომ ჯარიმის გადახდის მთავარი მოტივაცია ბანკისთვის ყადაღის მოხსნა ყოფილა. ყადაღის მოხსნა-არმოხსნის შესახებ განცხადებას შესაბამისი სტრუქტურა, აღსრულების ეროვნული ბიურო გააკეთებს. იურიდიულად აბსურდია ის, რომ დაჯარიმებულმა პირმა მიიღოს გადაწყვეტილება, ეს ჯარიმა სად მიიმართოს. რამდენიმე კომპანია ვიცი, რომელიც შარშან დაჯარიმდა, მათგან ერთ-ერთი – 200 მილიონი ლარით. წარმოიდგინეთ, მათ რომ ეთქვათ, ჯარიმის სახით გადახდილი თანხა ერთი კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად დახარჯეთო. ვინც კანონმდებლობა იცის, ივანიშვილის განცხადების არსს მიხვდება. მისი განცხადება იაფფასიან პოპულიზმზეა გათვლილი, – აღნიშნა მიხეილ მაჭავარიანმა.

იმავე აზრზეა უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ნუგზარ წიკლაური, რომლის მთავარი ფუნქციაც ივანიშვილისთვის ქოქოლის დაყრაა.

გუშინ წიკლაურმა მეოცნებეებსა და მათ ლიდერს საგანგებოდ მიმართა. ის კოალიციას მოუწოდებს, გადახდილი ჯარიმის მიზანთან დაკავშირებით ჩამოყალიბდეს.

– ივანიშვილის რამდენიმე ადვოკატმა თქვა, რომ გადარიცხეს ჯარიმის ფული და ახლა ბანკისა და იმ ქონების დაბრუნება სურთ, რომელიც დაყადაღებულია. ჩამოყალიბდით, ბატონებო, ეს ფული ან იმისთვის გინდოდეთ, რომ ვითომ კახეთში დაზარალებულ გლეხებს დაეხმაროთ, ან იმ ქონების დასაბრუნებლად, რომელიც სახელმწიფოს მიერ სამართლიანად არის დაყადაღებული, – მიმართა წიკალურმა მეოცნებეებს.

ამ თემაზე კომენტარი დავით დარჩიაშვილმაც გააკეთა. მისთვის მიუღებელია ივანიშვილის მითითებები, თუ რაში უნდა დაიხარჯოს მის მიერ გადარიცხული 80 მილიონი. როგორც ყველგან, დარჩიაშვილმა ივანიშვილის ამ განცხადებაშიც რუსული კვალი დაინახა.

– თუ როგორ დაიხარჯება ბიძინა ივანიშვილის მიერ გადახდილი ჯარიმა, ეს სუვერენული სახელმწიფოს გადასაწყვეტია და არ არის დამოკიდებული ბიძინა ივანიშვილის კაპრიზებზე. კარგი იქნება, ეს ადამიანი მიხვდეს, რომ სახელმწიფოში ცხოვრობს და არა ფეოდალურ ტყეში, როგორც რუსეთშია მიჩვეული, – დასძინა დავით დარჩიაშვილმა.

მმართველი გუნდის წევრები დეპუტატ გია ცაგარეიშვილის განცხადებამაც გააღიზიანა. ოპოზიციონერმა დეპუტატმა ხელისუფლებას ივანიშვილის მიერ გადახდილი თანხის სტიქიით დაზარალებულთა კომპენსაციებისთვის გამოყენება ურჩია.

– კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა 24 ივლისს, საღამოს, სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებით 80 მილიონი ლარი ჩარიცხა, მისი გამოყენება კი ხელისუფლებას სწორედ სტიქიით დაზარალებული გლეხებისათვის კომპენსაციის გასაცემად შეეძლება. ნათქვამია, ფულს სუნი არ აქვსო. ამ თანხით გაზარდეთ კომპენსაციები – თქვენ ხომ ეს გინდოდათ. რა მნიშვნელობა აქვს, ჯარიმა ერქმევა ამას თუ სხვა რამ. ჩვენ კი ყველაფერს გადავამოწმებთ, რომ ეს თანხა მიზანმიმართულად მიიმართოს, – აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

უფრო რადიკალური იყო თავის გამოსვლაში ჯონდი ბაღათურია. მან ხელისუფლება სარეზერვო ფონდებიდან ფულის შეჭმაში დაადანაშაულა. „ქართული დასის" ლიდერს გონივ-



რული ეჭვი აქვს, რომ ამ ფონდებიდან ხელისუფლებამ, სულ ცოტა, 60 მილიონი მოიპარა.

– ფინანსთა მინისტრმა პარლამენტის წინაშე გამოსვლისას იცრუა და არ ჩამოთვალა ის ხარჯები, რომლებიც სარეზერვო ფონდიდან არის გაწეული. ფინანსთა მინისტრმა დამალა, რომ სარეზერვო ფონდიდან სტინგის კონცერტზე 2 მილიონი დაიხარჯა, არ თქვა, რომ პლასიდო დომინგოს კონცერტზე 2 მილიონი დაიხარჯა, კრის დე ბურგის კონცერტზე დაიხარჯა რამდენიმე მილიონი და არ ჩამოთვალა, სულ რამდენი მილიონია დახარჯული პრეზიდენტის ტაშ-ფანდურზე. ღარიბი ხალხის მდიდარი მთავრობა ხაზინის ქურდობით არის დაკავებული. მთავრობის წევრები ორ-ორი და სამ-სამი მანქანით გადაადგილდებიან, მაშინ როცა ერთიც ეყოფოდათ. თქვე ოჯახაშენებულებო, არ გყოფნით? ჯერ როგორი მანქანებით დადიხართ, იქნებ შეხედოთ? რომელი ქვეყნის მთავრობა აძლევს თავს ასეთი მდიდრული მანქანებით სიარულის უფლებას? ლონდონის, დანიის, შვეიცარიისა სხვა და უმდიდრესი ქვეყნების პრეზიდენტები და პრემიერები ველოსიპედით დადიან, – მიმართა ბაღათურიამ ხელისუფლებას.

დეპუტატმა კონკრეტული მაგალითიც დაასახელა. მისი მტკიცებით, თავდაცვის მინისტრი დიმიტრი შაშკინი 10 მანქანით გადაადგილდება და მას 50 კაცი იცავს. ბაღათურიასთვის გაუგებარია, რაში სჭირდება შაშკინს ამხელა დაცვა.

– დიმიტრი შაშკინი ჯერ კიდევ განათლების მინისტრის პოსტზე ყოფნის დროს 10 მანქანით და 50-კაციანი დაცვით გადაადგილდებოდა. მაინტერესებს, რატომ ეშინოდა შაშკინს განათლებისა და მეცნიერების მინისტრობის დროს პედაგოგების, მოსწავლეებისა თუ მოსწავლეთა მშობლების თავდასხმის, – აცხადებს ბაღათურია.

გუშინ მან მთავრობას საგანგებოდ მიმართა და ჭკვიანური გადაწყვეტილების მიღება ურჩია.

– სახლობანასა და მინისტრობანას თამაშს თავი დაანებეთ და სტიქიით დაზარალებული გლეხებისთვის გასაცემი კომპენსაციები გაასამმაგეთ, – ასეთია „ქართული დასის" ლიდერის მოთხოვნა.

მის და გია ცაგარეიშვილის განცხადებებს მოგვიანებით ნუგზარ წიკლაური გამოეხმაურა. მისი მტკიცებით, ოპოზიციონერი დეპუტატები პასუხისმგებლობაში მოიკოჭლებენ.

– ბატონო ჯონდი და სხვა გამომსვლელებო, აქ ითქვა, მოდით, ეს დახმარება ორჯერ გავზარდოთო. ერთ-ერთმა თქვა, არა ორჯერ, არამედ სამჯეროო. აი, სწორედ ეს არის უპასუხისმგებლობა. მათ არ აქვთ ნათქვამის რეალობასთან შესაბამისობის განცდა. სწორედ ამიტომ არის თქვენი პოლიტიკური სახე ასეთი, თუმცა, ქარავანი მიდის და ამ ანდაზის დასაწყისი თქვენც კარგად მოგეხსენებათ, – მიმართა ოპოზიციონერ დეპუტატებს წიკლაურმა.

წიკლაურზე ბევრად კორექტული იყო ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძე. მან ჩამოთვალა ის ღონისძიებები, რომლებიც მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებიდან დაფინანსდა.

აი, რა ღონისძიებები დაფინანსებულა სარეზერვო ფონდებიდან: საქართველოსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების მე-20 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებები; მორაგბეთა ეროვნული ნაკრების დაჯილდოება; საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საგზაო, წყალმომაგარებისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება; თბილისში მდებარე ერთ-ერთი ეკლესიის აღდგენა; ჯილეხის საწინააღმდეგო ღონისძიებები გატარდა; უცხოეთში საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციისთვის თანხა გამოიყო; ზოგ რეგიონში განსაკუთრებით საშიში მავნებლების წინააღმდეგ ღონისძიებები გატარდა; სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულ სპორტსმენებს ფულადი ჯილდოები გადაეცათ; ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით გამოსვლის გამო ფეხბურთის 17-წლამდე ნაკრების წევრების დაჯილდოების ცერემონიალისთვის თანხა გამოიყო; საარჩევნო წელს პარტიების სარეკლამო ხარჯები დაიფარა; ჯანაშიას სახელობის მუზეუმში ქრისტიანული საგანძურის განახლებული ექსპოზიცია დაფინანსდა; ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონტექსტში გაღებული ხარჯები დაფინანსდა; თანხა საერთაშორისო იურიდიული მომსახურების ხარჯებისთვისაც გამოიყო.

დიმიტრი გვინდაძის აზრით, ოპოზიცია სარეზერვო ფონდებთან დაკავშირებით პროვოკაციულ განცხადებებს აკეთებს. ამიტომაც ის ხალხს მოუწოდებს, ამ პროვოკაციას არ აჰყვეს.

სარეზერვო ფონდებთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟს ნუგზარ წიკლაურიც გამოეხმაურა.

– ზოგიერთი ადამიანის სულიერი და გონებრივი აღნაგობა შესაძლებელს ხდის, ფონდის დანახარჯები მხოლოდ ტაშ-ფანდურებად და დუდუკებად მოიხსენიოს, რეალურად კი ეს თანხები მორაგბეების, ფეხბურთელებისა და სხვა სპორტსმენებისათვის, ასევე საგზაო, წყალმომარაგებისა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის იხარჯება.

ჯანაშიას მუზეუმის მხარდაჭერა ზოგიერთს შეიძლება დუდუკი ჰგონია, მაგრამ სინამდვილეში ეს საქართველოს ისტორიის მხარდაჭერაა. ჩემთვის აუხსნელია ოპოზიციის ირაციონალური შიში მუსიკალური კულტურის მიმართ, რომელსაც სტინგსა და სხვა დიდ მომღერლებთან დაკავშირებით გამოხატავენ ხოლმე, – განაცხადა გაოგნებულმა წიკლაურმა, თითქოს სტინგის კონცერტის ჩატარება ან სტინგის სიყვარული აუცილებელი იყოს.

# ზვიად ძიძიგური: არჩევნების შემდეგ ნაციონალები ოპოზიციაში გადავლენ“

## ხელისუფლებას ბიზნესმენები მეწველი ძროხა ჰგონია

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ კონსერვატიული პარტიის ლიდერ ზვიად ძიძიგურთან

***— ბატონო ზვიად, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში ქართველი ემიგრანტები საპროტესტო აქციებს მართავენ და ითხოვენ, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცენ. თქვენი აზრით, რატომ წაართვა ხელისუფლებამ მათ ეს უფლება?***

— ჩვენი ქვეყნის უბედური მდგომარეობის გამო. სამწუხაროდ, ემიგრანტები, რომლებიც წასული არიან საქართველოდან, მათი დიდი უმრავლესობა არალეგალურად არის წასული. ეს ორმხრივი უბედურებაა — ერთი, რომ ის ადამიანები, რომლებიც უცხოეთში არიან, ვერავითარ შემთხვევაში საკონსულო აღრიცხვის გარეშე არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. მეორე უბედურება ის არის, რომ აქ ირიცხებიან ისინი საარჩევნო სიებში, არანაირი კონსტიტუციური საფუძველი არ არსებობს, რომ ამ ადამიანების ამოღება მოხდეს საარჩევნო სიებიდან და ეს ხელისუფლებისთვის ქმნის გაყალბების ძალიან მშვენიერ ლუფტს. ეს არის ორი უბედურება, მე ვფიქრობ, რომ ყოველივე ამის მიზეზი, საბოლოო ჯამში, არის ქვეყნის ის მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით, განსაკუთრებით 91-92 სამხედრო გადატრიალების შემდეგ, როდესაც მასობრივად დაიწყო ხალხმა ემიგრაციაში წასვლა. რაც შეეხება იმას, თუ როგორ უნდა გამოსწორდეს ეს ამბავი, უნდა გამოსწორდეს იმით, რომ ქვეყანაში უნდა დაიწყოს სასიკეთო ძვრები, მათ შორის, ეკონომიკური თვალსაზრისით. ეს კი გამოიწვევს იმას, რომ ბევრი ადამიანი ჩამოვა საქართველოში და მათ არალეგალურად წასვლის არავითარი საფუძველი აღარ ექნებათ.

***— ხელისუფლებამ ზონდერები შექმნა მათ დასაშინებლადო...***

— რამდენი კაცი უნდა დააშინონ? ეს რაღაც უტრირებულია, ჩემი აზრით. რა თქმა უნდა, ისინი ყველაფერს ეცდებიან მათ დასაშინებლად, თუმცა, რამდენად მოახერხებენ ხალხის შეშინებას საზღვარგარეთ, საქართველოში, ყველა დაწესებულებაში, ეს ხომ რაღაცა მითოლიზირებული სქემაა, რომლის მიხედვითაც ხელისუფლება არის ყოვლისშემძლე. არ არის ყოვლისშემძლე ეს ხელისუფლება. დააკვირდით თქვენ თვითონ სააკაშვილის, მისი ხელისუფლების ქმედებებს, მის ნერვულ მდგომარეობას და დარწმუნდებით, რომ ისინი გაცილებით სუსტნი არიან, ვიდრე სინამდვილეში ცდილობენ, თავი მოგვაჩვენონ.

***— სააკაშვილმა წალენჯიხაში ყოფნისას განაცხადა, რომ საქართველოს ისეთი მთავრობა ჰყავს, ყველანაირ პრობლემას მოგიგვარებთო...***

— საქართველოს ისეთი მთავრობა ჰყავს, რომელიც ისე ხარჯავს ასეულ მილიონებს, რომ ამის შესახებ ხალხს არაფერს ეუბნება. სარეზერვო ფონდი სად დახარჯეს, ჯერ ეს გვითხრან, წარმოადგინონ ამის ანგარიში და მერე იტრაბახონ, რომ საქართველოს კარგი მთავრობა ჰყავს. საქართველოს ჰყავს სრულიად უსინდისო პრეზიდენტი და მთავრობა, რომელიც ხალხის ფულით არის გალაღებული და, სად რა მიმართულებით ფლანგავენ ხალხის სიმწრითა და ოფლით მოგროვებულ კაპიკებს, არავინ უწყის, ხალხის კისრიდან ამოღებული კომუნალური გადასახადებით, რომელსაც პოლიტიკური ფასი ადევს, ასევე პოლიტიკური ფასი ადევს გაზის გადასახადს, დენის გადასახადს, ბენზინის გადასახადს, მედიკამენტებს, ყველაფერს ადევს პოლიტიკური ფასი. ეს არის ბეგარა, რომელიც სახელმწიფოს თავისი ბინძური საქმეებისთვის „ლევად“ ამოაქვს ხალხის კისრიდან. დიახ, ეს მთავრობა ეხმარება სააკაშვილს, რომ მან ხალხის გაყვლეფის ორგანიზება კარგად



გააკეთოს და, რა თქმა უნდა, ის კმაყოფილია თავისი მთავრობით. როდესაც ქვეყანაში ტოტალურად არის გამეფებული უმუშევრობა, როდესაც ადამიანების ჯანდაცვა, განათლება, სოციალური მდგომარეობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ეს არ არის კარგი მთავრობა, ეს არის ძალიან ცუდი მთავრობა, რომელიც დღეს ქვეყანას ჰყავს.

***— თქვენ ამბობთ, რომ სარეზერვო ფონდი ცარიელია? მაშინ, როგორ დაეხმარებიან კახელ გლეხებს?***

— გაატყავებენ ბიზნესმენებს და ისე. რიგი დგას მაგათ ოფისებთან. ორიოდე დღის წინ იდგა რიგი. თქვენ არ გეგონოთ, რომ იქ 1200 ლარის, პარტიული საწევროების შესატანად არის ხალხი დაბარებული. ეს ადამიანები იმიტომ არიან დაბარებული, რომ ბიუჯეტიდან გაფლანგული და შეხრამუნებული თანხების სანაცვლოდ მათ საკუთარი ჯიბიდან დაადებინონ და კიდევ ერთხელ ისე მოეპყრონ ბიზნესმენებს, როგორც მეწველ ძროხას ეპყრობიან ხოლმე. ახლა დადგა კიდევ ერთხელ ჯერი, რომ თანხა, რომელიც სჭირდება სტიქიით დაზარალებულ რეგიონს და ეს თვითონ ხელისუფლებამ გადააქცია ძალიან პოლიტიზირებულ თემად, ახლა იძულებულნი არიან, როგორმე გამოძვრნენ მდგომარეობიდან. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილის ინიციატივამ, რომ ათი მილიონი ლარი გადაერიცხა დაზარალებული კახეთის რეგიონისათვის, მათი ამოცანა კიდევ უფრო მეტად გაამწვავა. ვინაიდან ასეთი სერიოზული პოლიტიკური მოთამაშის გამოჩენა რეგიონის გადარჩენის საქმეში მათთვის უკვე სხვა დონის პრობლემა გახდა. ისინი ასეთ მოედნებზე მარტო თამაშობდნენ წლების განმავლობაში. მათ შეეძლოთ, ჩაეწერათ ქულები ქვეყანაში დატრიალებული უბედურებების დროს, ისე, რომ არავინ აკონტროლებდა მათ საქმიანობას. ახლა კი ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ სერიოზული კონტროლის მექანიზმები გაჩნდა, თუ სინამდვილეში რეალურად რას აკეთებენ ისინი დაზარალებულ რეგიონებში. თავიდანვე გაირკვა, რომ ისინი აფიორით არიან დაკავებულნი, როცა ამბობენ, რომ 1500 ლარია მაქსიმუმი დახმარება და მინიმუმ 300 ლარი ადამიანებისთვის, რომლებსაც მთელი მოსავალი დაეკარგათ. ეს გამოდის 20 ათას ოჯახზე დაახლოებით 20 მილიონი ლარი. კიდევ რომ დაიანგარიშო სახურავების ხარჯი, ზეთისა და ფქვილის, რომელსაც არიგებენ ახლა ისინი რეგიონებში, 30 მილიონ ლარზე მათივე დანახარჯი მათი პროგრამით არ გადის, რაც იმას ნიშნავს, რომ კიდევ ჩნდება ეჭვები, რომ აბა 160 მილიონი ლარი რაში უნდა დახარჯონ?! ან ის 30 მილიონი ლარი რატომ არ ჰქონდა ხელისუფლებას, როდესაც მათი სარეზერვო ფონდი არის 100 მილიონი ლარის ოდენობით და სარეზერვო ფონდის ძირითადი დანიშნულებაა, სტიქიური უბედურებების დროს დაეხმაროს დაზარალებულ მოსახლეობას.

***— სად წავიდა ეს თანხები?***

— მე მაქვს ჩემი საფუძვლიანი ეჭვი, ვიფიქრო, რომ ეს 100 მილიონი ლარი სააკაშვილმა დახარჯა თავისი ხუშტურების ასასრულებლად და არამიზნობრივად, ვინაიდან, როდესაც პარლამენტი იკრიბება და ამბობს, რომ აი სტიქიით დაზარალებული რეგიონისთვის ბიუჯეტიდან თანხები უნდა მოვიძიოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ სპეციალურად ბიუჯეტში გამოყოფილი თანხა სწორედ ამ ფუნქციით უკვე დახარჯულია. არ გვეუბნებიან, ძალიან ბევრჯერ იყო მცდელობა, რომ მოგვეპოვებინა სარეზერვო ხარჯები, თუ სად და როგორ არის გახარჯული. ბიძინა ივანიშვილის ფულებს ითვლიან და იმის შესახებ არაფერს ამბობენ, თუ სად დაიხარჯა ეს ასი მილიონი ლარი. რამდენი ხანია, ამაზე ღიად მიდის საუბარი და ვერ მივიღეთ ამაზე ინფორმაცია. ახლა კი კახეთის სტიქიამ ღიად დაგვანახვა, რომ ეს ფული დახარჯულია არაკეთილსინდისიერად. ხელისუფლება ამ ყველაფრისთვის პასუხს აუცილებლად აგებს.

***— რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, ხელისუფლება მით უფრო შეეცდება ხალხის დაშინებასო. თქვენი აზრით, ეს რამდენად გამოუვა?***

— ხალხი მუდმივად ამყოფო შიშის ქვეშ, შეუძლებელია. ხელისუფლება მხარდამჭერებს ყოველდღიურად კარგავს. ბევრი მათგანი თავის პოზიციას არ აფიქსირებს, თუნდაც იგივე თავდაცვასა და პოლიციაში. ისინი თავიანთ სიტყვას გადამწყვეტ დღეს იტყვიან და პოზიციას არჩევნებზე დააფიქსირებენ.

***— შინაგან საქმეთა სამინისტროში სერიოზული რღვევები მიმდინარეობსო...***

— პოლიციაში რღვევები დაიწყო მას შემდეგ, რაც იქ ბაჩო ახალაია მივიდა. დღეს ქვეყანაში სულ სხვა პოლიტიკური რეალობაა და ამას თავადაც კარგად ხედავენ. მე შევახსენებ საზოგადოებას, რომ ამ ხელისუფლებას 2007 წელს არჩევნები ლევან გაჩეჩილაძემ მოუგო და იმ განწყობების და მხარდაჭერების შედარება, რომელიც ბიძინა ივანიშვილს აქვს, იმ პერიოდთან ნამდვილად არ შეიძლება. ივანიშვილთან შესახვედრად მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოდის და ეს რიცხვი არჩევნებზე გაცილებით დიდი იქნება. ცალსახად ვაცხადებ, რომ ნაციონალურ მოძრაობას მომავალ პარლამენტში ოპოზიციაში იხილავთ.

***— ბატონო ზვიად, გუშინ „აირაიმ“ პოლიტიკური პარტიების რეიტინგის ახალი კვლევები დადო. ნაცმოძრაობას გამოკითხულთა 42% უჭერს მხარს, ხოლო „ქართულ ოცნებას“ — 12%...***

— ეს ამერიკული ორგანიზაცია კვლევებს ლევან თარხნიშვილს უკვეთავს და მის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები სხვაგვარი როგორ იქნება? ხომ ყველას კარგად ახსოვს, 2008 წელს თარხნიშვილმა როგორი არჩევნებიც ჩაგვიტარა. ეს შედეგები ნამდვილად არ ასახავს რეალობას. ჩვენ ჩვენი შიდა კვლევები გვაქვს და რეალურად ის სულ სხვა სურათს აჩვენებს. ჩვენი კვლევების მიხედვით, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობით მოსვლა ძალიან რეალურია. კიდევ ერთხელ ღიად განვაცხადებ, რომ, რა თქმა უნდა, ნაციონალური მოძრაობა მომავალ პარლამენტში იქნება, ოღონდ ისინი იქნებიან იმ რაოდენობით, რომელიც მათთვის იქნება საკმარისი, რომ მოღვაწეობა ოპოზიციურ ფლანგზე გააგრძელონ.

### შსს-მ მოლაპარაკებებზე წარმომადგენელი დანიშნა

ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების ჯგუფის ფორმატში არსებულ შეხვედრებზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლად საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის, ანალიზისა და კოორდინაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე კახაბერ ქემოკლიძე დაინიშნა, — იუწყება შს სამინისტრო/ კახაბერ ქემოკლიძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატშიც იქნება ჩართული.

შეგახსენებთ, რომ ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების ჯგუფის ფორმატში არსებულ შეხვედრებზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს შოთა უტიაშვილი წარმოადგენდა. უტიაშვილი მთავრობაში ბოლო საკადრო ცვლილებების შემდეგ, მუშაობას მთავრობის კანცელარიის საგარეო და საზოგადოებრივი ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე აგრძელებს.

მედიანიუსი

### რომან დუმბაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით კიდევ ერთი ქართველია დაკავებული

რუსეთის საგამოძიებო უწყების წარმომადგენლებმა მოსკოვში მოკლულ ქართველი გენერლის, რომან დუმბაძის საქმეში ბრალი კიდევ ერთ პირს წაუყენეს.

არსებული ცნობით, დაკავებულია 25 წლის საქართველოს მოქალაქე თორნიკე კვირიკაშვილი, რომელმაც აღიარებით ჩვენებაში დაწერა, რომ დუმბაძის მკვლელებს, ე.წ. კილერებს მკვლელობის იარაღი სწორედ მან გადასცა. საქმეზე გამოძიება გრძელდება.

შეგახსენებთ, რომ მოსკოვის პრესნენსკის სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომან დუმბაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილებს წინასწარი პატიმრობა ამა წლის 5 ივლისს მიესაჯათ.

პატიმრობა შეეფარდათ რომან ბელქანიას, ალექსანდრე ბერიშვილს და შოთა თაღუშვილს. მათ პატიმრობაში ყოფნა 21 აგვისტომდე მოუწევთ.

ერთ-ერთი ეჭვმიტანილი რომან ბელქანია ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ მკვლელობის დღეს მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა.

გამოძიების ვერსიით, სწორედ ბელქანია აწარმოებდა თვალთვალს დუმბაძეზე და მისი ადგილსამყოფელი მკვლელებს მან აცნობა.

ჩვენება სასამართლოს ალექსანდრე ბერიშვილმაც მისცა. მან განაცხადა, რომ შოთა თაღუშვილმა, რომელიც მას მოტოციკლით გადაჰყავდა, ცეცხლი მოულოდნელად გახსნა, თავად კი მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია.

რომან დუმბაძე 21 მაისს მოსკოვში საკუთარ უცნობმა პირებმა ჩაცხრილეს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 25-ე ბრიგადის №20350-ე სამხედრო ნაწილის მეთაური, გენერალ-მაიორი რომან ნოდარის ძე დუმბაძე 2004 წელს სამშობლოს ღალატის ბრალდებით გასამართლდა და 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ასლან აბაშიძის მხარდამჭერი გენერალი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დღეებში ქართულმა მხარემ რუსეთს ქართველ ტყვეებში გაუცვალა. ამის შემდეგ იგი რუსეთში ცხოვრობდა.

მედიანიუსი

# რა ბედი ელით პოლიტპატიმრებს

ნონა ცაბაძე

**ადამიანის უფლებათა დამცველმა ნანა კაკაბაძემ პრესკონფერენცია გამართა და ყველა იმ პოლიტიკურ ძალას მიმართა, რომელიც გეგმავს საპარლამენტო არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლას. მათ შორის მიმართა სახელისუფლო პარტიასაც.**

— ჩვენ გვინდა მივმართოთ მათ კითხვებით, რომ გეგმავენ თუ არა ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ის პოლიტიკური პატიმრები, რომლებიც დღეს სასჯელს იხდიან სხვადასხვა კრიმინალური დანაშაულისთვის, მაგრამ არიან პოლიტიკური ნიშნით დევნილები, აპირებენ თუ არა, რომ ისინი მოაქციონ იმ კანონის ქვეშ, რომელშიც მოქცეულნი არიან პოლიტიკური პატიმრები 1990 წლამდე. ანუ კანონით პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა შესახებ, რომელიც 1997 წელს იქნა მიღებული. ეს არის 90-იან წლებამდე და ჩვენ გვაინტერესებს ის ადამიანები, რომლებიც დღეს, თუნდაც საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან არიან აღიარებული პოლიტიკურ პატიმრებად, ან ადგილობრივი უფლებადამცველების მიერ არიან აღიარებული პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად, ამ ადამიანებს შეეხებათ თუ არა უკვე არსებული ეს კანონი, — კითხულობს კაკაბაძე. მისივე განცხადებით, თუ ამ ხალხს ეს კანონი შეეხება, ბუნებრივია, მასში უნდა შევიდეს ცვლილებები.

იქვე იმასაც განმარტავს, რომ ეს კანონი ფინანსურ კომპენსაციებსაც ითვალისწინებს — პოლიტპატიმრებს დანიშნული აქვთ 62 ლარი პენსია, მაგრამ აქ არის არა თანხობრივი, არამედ აღიარებითი ფაქტორი, რომ ეს ადამიანები ცნეს პოლიტიკურად რეპრესირებულად. ჩვენ გვაინტერესებს, რომ მომავალში, ის ძალები, რომლებიც მოდიან პოლიტიკაში, აპირებენ თუ არა ამ ადამიანების აღიარებას პოლიტპატიმრებად. ჩვენ ასევე გვაინტერესებს, მოხდება თუ არა ამ ადამიანების რეაბილიტაცია. ასევე გვაინტერესებს, მოახერხებს თუ არა მომავალი პარლამენტი, შექმნას საკანონმდებლო სამართლებრივი ბაზა იმისათვის, რომ გადაიხედოს პოლიტიკურ პატიმართა საქმეები და ასევე უკანონო პატიმართა საქმეების გადახედვაც მოხდეს. ჩვენ გვაინტერესებს, ამ ბაზის შექმნას უზრუნველყოფს თუ არა მომავალი პარლამენტი. საერთაშორისო დონეზე აღიარებულია, რომ ჩვენთან სასამართლოს აქვს სერიოზული პრობლემები და რომ დღეს ეს სასამართლოები არის ფაქტიურად პოლიტიკური რეპრესიების მექანიზმად გამოყენებული. ასევე მას იყენებენ ბიუჯეტის შესავსებად, — აცხადებს კაკაბაძე.



როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი აღნიშნავს, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რომელი პარტიები გამოეხმაურებიან ამ მიმართვას და შეუერთდებიან იმ მხარდაჭერას, რომ ეს ადამიანები იქნენ ცნობილნი პოლიტპატიმრებად და დაექვემდებარონ კანონით გათვალისწინებულ აღიარებას და დახმარებას.

ნანა კაკაბაძე საუბრისას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსაც შეეხო და ტელეკომპანია „მაესტროს“ შესახებ ისაუბრა:

— დღეს ხელისუფლების მიზანია ძალაუფლების შენარჩუნება და ძალაუფლების შენარჩუნებისთვის მან აირჩია ის არადემოკრატიული გზა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, რომ ის კრძალავს განსხვავებული ინფორმაციის გავრცელებას, პირდაპირ ომს უცხადებს არა მარტო განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების გამოსვლას, როგორც სახელისუფლებო ეთერებში, ისე დამოუკიდებელ ტელეკომპანიებშიც. ვინაიდან მან ომი გამოუცხადა თეფშებს, ანტენებს და საერთოდ ცდილობს, რომ ერთი სახელისუფლო პოზიცია იყოს დომინანტი და სხვა არანაირი განსხვავებული პოზიცია საზოგადოებას არ მიეწოდებოდეს. ეს პირდაპირი დიქტატია, პირდაპირი ხელყოფაა ინფორმაციის გავრცელებისა და ის ამ გზით აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას.

***— ქალბატონო ნანა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ ბიძინა ივანიშვილმა გადაიხადა ის 80 მილიონი ლარი, რომელსაც მას ხელისუფლება ედავებოდა. მან თანხა გადაიხადა იმ მიზნით,***

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# მაესტროს“ მხარდასაჭერი აქციები პერმანენტულად გაიმართება

ტელეკომპანია „მაესტროს“ მხარდასაჭრად მედიის წარმომადგენელთა აქციები პარლამენტის წინ პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და იმ დრომდე გაგრძელდება, ვიდრე ტელეკომპანიის კუთვნილ ქონებას ყადაღა არ მოეხსნება.

ამის შესახებ გუშინ გამართული აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გაზეთ „რეზონანსის“ მთავარმა რედაქტორმა ლაშა ტუღუშმა განაცხადა. მისი თქმით, სოლიდარობის აქციები შედეგს აუცილებლად გამოიღებს, ვინაიდან მათი მოთხოვნები კანონიერია.

„სამომავლო გეგმების შესახებ საზოგადოებას ინფორმაციას ტელეკომპანიების – „კავკასიის“, „მაესტროსა“ და „მეცხრე არხის“ საშუალებით მივაწვდით“– განაცხადა ტუღუშმა.

დღევანდელი აქცია პარლამენტთან ამ დროისთვის უკვე დასრულებულია. მონაწილეები პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიას ტოვებენ.

„მაესტროს“ მხარდამჭერ აქციაზე მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა ტელეკომპანიის კუთვნილი ქონების დაყადაღების ფაქტი გააპროტესტეს. აქციაზე წარმოდგენილი იყო პლაკატები სატელიტური თეფშების გამოსახულებითა და წარწერებით – „იძებნება“ და „ექვმიტანილია“.

აქციის მონაწილეებმა სატელიტურ თეფშზე სიმბოლურად ხელმოწერებიც დატოვეს, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციას გადაეცემა.

**ნიუსპრესი**

# მესტიის გამგებელმა შმაგი ნაკანმა თანამდებობა დატოვა

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შმაგი ნაკანმა დაკავებული თანამდებობა დატოვა.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, შესაბამისი განცხადება ორშაბათს დაწერა, რაც დღეს საკრებულომ დააკმაყოფილა.

ნაკანის თქმით, იგი მუშაობის გაგრძელებას საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში გეგმავს, თუმცა, რა პოზიციაზე – არ აკონკრეტებს.

შმაგი ნაკანის ინფორმაციით, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე ილია ჯაფარიძის კანდიდატურა განიხილება, რომელიც მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია.

**ინტერპრესნიუსი**

# რა ბედი ელით პოლიტპატიმრებს

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***რომ და ზარალებულ რეგიონს მოხმარდეს. თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ივანიშვილის საქმე არ არის, ეს თანხა სად და როგორ დაიხარჯებაო...***

–ხელისუფლება მიზანმიმართულად და მიზნობრივად რომ ხარჯავდეს იმ ფულს, რომელიც ბიუჯეტშია გათვალისწინებული ხალხის ინტერესებისთვის, ბუნებრივია, ამოდენა კატაკლიზმები, რაც დღეს ქვეყანაშია, არ იქნებოდა. არანაირი დამცავი მექანიზმები არ არის შექმნილი. ელემენტარულად, სანიაღვრეები არ არის ქალაქში, ქალაქგარეთ რომ არაფერი ვთქვათ. პატარა წვიმაზეც კი წყალდიდობები ჩნდება. ბიუჯეტის მიზნობრივი ხარჯვა არ ხდება და დიდი წილი ამ უბედურებებისა სწორედ ამიტომაა. კომუნისტების დროსაც კი არსებობდა და სხვათა შორის, ქართველების გამოგონილი იყო, როდესაც მოსალოდნელი იყო ისეთი ღრუბლები, რომელსაც შეიძლებოდა მოყოლოდა არანორმალურად დიდი წვიმა, ან სხვა რამ, ამ ღრუბლებს ფანტავდნენ, შლიდნენ, ანაწევრებდნენ და ის საფრთხის შემცველი აღარ იყო. არასოდეს, საბჭოთა პერიოდშიც კი, ასეთი ზიანი და ზარალი ბუნებრივ კატაკლიზმებს არ მოყოლია ხოლმე. თუ მიწისძვრებს არ ჩავთვლით, რასაც ძნელად შეაჩერებ. წვიმისთვის და თოვლისთვის ყოველთვის არსებობდა საზოგადოების დაცვის მექანიზმები. დღეს ეს ყველაფერი მოშლილია, ხელისუფლება ამაზე თანხებს არ ხარჯავს. როდესაც ბიძინა ივანიშვილი მას ეუბნება, რომ მე არ ვიხდიდი ამ თანხას, მაგრამ დამატებით გაძლევ ფულს, ვიხდი ამ თანხას იმისათვის, რომ ხალხს დაეხმაროო, ხელისუფლება პასუხობს, რომ ეს შენი საქმე არ არის, ამ ფულს როგორ დავხარჯავთო. ხელისუფლებას პოპულისტური განცხადება რომ გაეკეთებინა და რომც ეთქვა, ამ ფულს ხალხს დავახარჯავო, ამას მაინც არ გააკეთებდა და ამ ფულს როგორც უნდოდა, ისე დახარჯავდა და ის ხალხის სიკეთეს არ მოხმარდებოდა. მე არ ვიცი, რამდენად სწორი იყო ამ თანხის გადახდა. ჩვენ ხომ ისედაც ვიცით, რომ ხალხს ეს ხელისუფლება არაფერს არ მოახმარს, სანამ თვითონ არის ხელისუფლებაში.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ამ 80 მილიონიდან დაზარალებული მოსახლეობა ვერაფერს მიიღებს?***

– რასაკვირველია, ის ხალხი ვერაფერს მიიღებს. დღეს, სამწუხაროდ, კიდევ ერთი შანსი მიეცა ხელისუფლებას, რომ გამოიყენოს ეს ბუნებრივი კატაკლიზმები თავის პიარ კამპანიისთვის და არიგოს იქ ფქვილი და ზეთი, ვითომდა დაზარალებულებისთვის და თან ფქვილები რომ მიაქვთ, ეუბნებიან – აი, ჩვენ როგორ გეხმარებით, გვერდით გიდგავართ, არ მისცეთ ივანიშვილს ხმა, თორემ მერე საერთოდ აღარ დაგეხმარებითო. თუმცა ხალხი ამ დახმარებას იღებს და ამბობს, რომ ხმას მაინც ივანიშვილს მივცემთო. აი, ასეთი ინფორმაციები მოდის ჩვენამდე, რომ ხალხზე ასეთი ზეწოლები ხდება. თუმცა ხალხს უკვე აღარანაირი ტყუილის და აღარანაირი დაპირების აღარ სჯერა. ხელისუფლებამ ზუსტად იცის, ობიექტურად რომ ჩატარდეს არჩევნები, მისი ხელისუფლება დასრულებულია. ამიტომაც ებრძვის ის განსხვავებული აზრის გავრცელებას. ამიტომ ებრძვის მაესტროს, ამიტომ ებრძვის გლობალს, ამიტომ ებრძვის თეფშებს და ანტენებს, რომ სწორედ ამის ეშინია და როგორც არ უნდა შეფუთონ ეს, სახეზეა ცალსახა დანაშაული, რომ ხელისუფლება ხელს უშლის განსხვავებული აზრის გავრცელებას და ვისაც ამის დანახვა უნდა, ეს მკაფიოდ და ცალსახად ჩანს.

# ქეთი ბექაური: უცხოეთში მყოფი საქართველოს მილიონი მოქალაქე არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს“

## ვინ და რატომ დაარქვა მოსამართლეებს სიმართლის მკვლელები

გულიკო ბალაძე

„თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, ადვოკატ ქეთი ბექაურის განცხადებით, ხელისუფლება უცხოეთში მყოფ საქართველოს მილიონ მოქალაქეს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას უზღუდავს. დღემდე არსებობდა 2011 წლის 10 ოქტომბრის ბრძანება №241, რომელიც არეგულირებდა საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და იქიდან მოხსნის წესებს. ეს წესები მოქმედებდა მიმდინარე წლის 11 ივლისამდე. ამ ბრძანების თანახმად, საკონსულო აღრიცხვაზე დადგომა არანაირ სირთულეებთან არ იყო დაკავშირებული. აღრიცხვაზე დადგომა ხდებოდა შემდეგი პროცედურით: უცხოეთის ნებისმიერ ქვეყანაში მცხოვრები ჩვენი მოქალაქე ავსებდა ელექტრონულ ანკეტას, ან მიდიოდა საკონსულო დაწესებულებაში, იქ ივსებოდა ეს ანკეტა, რომელშიც მიუთითებდა მის თანმხლებ პირებს თავის პირად ნომერს, დაურთავდა ფოტოსურათს და აღრიცხვაზე დგებოდა.

კანონში ახლაც არის დატოვებული ის პუნქტი, რომ ფოტოსურათის წარდგენა მაინცდამაინც არ არის სავალდებულო. არ იყო სავალდებულო, მიგეთითებინა, რა მიზნით იყავი იქ ჩასული. სამუშაოდ იყავი ჩასული, მუდმივად რჩებოდი თუ დროებით. ასევე არ იყო საჭირო, მიგეთითებინა, კონკრეტული ადგილსამყოფელი და არც საკონტაქტო ინფორმაცია, ანუ ძალიან გაიოლებული გახლდათ საკონსულო აღრიცხვაზე დადგომა.

თუ საკონსულო აღრიცხვაზე არ დგას ჩვენი უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, მის გარეშე გამორიცხულია პირმა არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. ცესკო საზღვარგარეთ საარჩევნო უბნებს ხსნის, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გადაცემული სიების მიხედვით. საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ სიებს აწვდიან სხვადასხვა ქვეყნებში არსებული საქართველოს საკონსულო დაწესებულებები. დადგენილი იყო პროცედურა, რომლის თანახმად კენჭისყრის დღემდე 21 დღით ადრე პირს უნდა ჰქონოდა უკვე საკონსულო აღრიცხვის ბარათი. რომც არ ყოფილიყო საკონსულო აღრიცხვაზე პირი, იქნებოდა ის ლეგალი თუ არალეგალი, საარჩევნო უბანში მიდიოდა პირი, ან საკონსულო დაწესებულებას მიმართავდა, შეეყვანათ სპეციალურ სიაში და ასეთი პიროვნება შეჰყავდათ სპეციალურ სიებში, საკონსულო დაწესებულებაში ან სპეციალურ უბანში, ამ პიროვნებას ეძლეოდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ახლა ხელისუფლებამ წინასწარ უკვე იცის, რომ არჩევნებს აგებს. ამას ხელი შეუწყო არაერთმა მშვიდობიანმა მხარდამჭერმა აქციამ. კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ძალიან ბევრი მხარდამჭერი აღმოაჩნდა, როგორც სხვა რეალურ ოპოზიციურ ძალას, როგორიც არის, ვთქვათ, „თავისუფალი საქართველო“. ანუ რეალურ ოპოზიციურ ძალებს აღმოაჩნდათ მხარდამჭერები. ისინი უკვე ღიად გამოდიან უცხოეთში და თავის პოზიციას ღიად აფიქსირებენ. დღევანდელმა ხელისუფლებამ დაინახა, რომ მათი მხარდამჭერთა რიცხვი ნულამდეა დაყვანილი და მოიგონეს მორიგი ხრიკი. რამდენიმე დღის წინ, ჩემს გადაცემაში საფრანგეთიდან ჩაგვერთო „ფრანს პრესის“ ჟურნალისტი, ბატონი გიორგი ფოფხაძე და ხელისუფლების ამ ნაბიჯს სწორედაც ხრიკი უწოდა. ხელისუფლებამ მოიგონა ხრიკი – უცხოეთში მცხოვრებ მილიონ ემიგრანტს საკონსულო აღრიცხვაზე დადგომა გაურთულა. გრიგოლ ვაშაძის ბრძანებით, იმ ანკეტას, რომელიც ივსება ემიგრანტის მიერ, დაემატა აუცილებელი მოთხოვნა, ცნობა საზღვარგარეთ საცხოვრებელი ადგილიდან, ანუ საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება შეცვალეს და საკონსულო აღრიცხვაზე დადგომასა და, აქედან გამომდინარე, არჩევნებში მონაწილეობის პროცედურა, ხელოვნურად გართულდა. ყველაფერი მიმართულია იქით, რომ უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, ქართველ ემიგრანტებს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება არ მიეცეთ. რეალურად, ცნობას საცხოვრებელი ადგილიდან საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი მოქალაქისთვის არც ერთი ორგანო არ გასცემს. ჩართვა მქონდა საბერძნეთის ქალაქ ათენიდან (ცნობის აღება შეიძლება კიდევ მოახერხოს საქართველოს მოქალაქემ, ვინც ამა თუ იმ ქვეყანაში ლეგალურად იმყოფება), რომელმაც თქვა, რომ ის ლეგალურად იმყოფება საბერძნეთში და ასეთი ცნობა პრეფექტურაში უნდა აიღოს, მაგრამ ასევე განმარტა, რომ როგორც კი არალეგალი მივა პოლიციის პრეფექტურაში, მას მაშინვე დააკავებენ, დაადებენ ხუნდებს, მიაცილებენ აეროპორტში და დეპორტაციას გაუკეთებენ. ამას აკეთებს ეს ხელისუფლება, რომელიც აგონიაშია იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან ნაკლები შანსი აქვს, საერთოდ, მოვიდეს ხელისუფლებაში. ამიტომ შექმნა ასეთი ხელოვნური ბარიერი, – განაცხადა ქეთი ბექაურმა.

ქეთი ბექაურის განცხადებით, უფლებადამცველები შეიკრიბებიან, მოიწვევენ ყველა პოლიტიკურ პარტიას და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ასევე ჩაერთვებიან საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები და იმსჯელებენ გამოსავალზე.

– ამაში დაგვეხმარებიან თვითონ ქართველი ემიგრანტებიც, რომლებიც ამ პროცესში უკვე მონაწილეობენ. „ფრანს პრესის“ ჟურნალისტმა გიორგი ფოფხაძემ განაცხადა, რომ თვითონ გაუკეთებს ორგანიზებას აქციას. ასევე ამას ორგანიზებას გაუკეთებს ბატონი მერაბ ბლადაძე, რომელიც გახლავთ, მედიაკავშირ „ობიექტივის“ წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენელი ბრიუსელში და ემიგრანტების სახალხო დამცველი. სხვა სათვისტომოს წარმომადგენლებიც გაუკეთებენ ორგანიზებას აქციებს, რომელსაც ექნება მშვიდობიანი ფორმა. ისინი, უბრალოდ, დადგებიან საკონსულოებთან და მოითხოვენ, მიეცეთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ეს იქნება პრევენცია. ჩვენ არასამთავრობოებთან და პარტიების წარმომადგენლებთან ერთად გავმართავთ კონფერენციას, ოპტიმალურ ვარიანტზე შევჯერდებით, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის აღნიშნული ბრძანება შეჩერდეს, რათა იმ ხალხის მილიონი ხმა არ დაიკარგოს – მილიონი ხმა არ წავიდეს ნაციონალების საარჩევნო კალათაში.

***– ქალბატონო ქეთი, ნაციონალური ხელისუფლება ათასგვარ ფარულ თუ ღია ხრიკებს მიმართავს, რომ ოქტომბრის არჩევნებისთვის მოწინააღმდეგე დაასუსტოს. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება დათმობაზე წავა და ბრძანებას შეაჩერებს?***

– ჩვენ ყველანაირად შევეცდებით, რომ ეს ბრძანება შევაჩერებინოთ. მე, როგორც პარტია „თავისუფალი საქართველოს“ სამართლებრივი პოლიტიკის ხელმძღვანელი, უშუალოდ ვიყავი ჩართული არა მხოლოდ სასამართლო პროცესებში, არამედ იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელსაც ჰქვია საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის სამსახური, როდესაც დაბარებული იყვნენ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ გენერალური მდივანი, ბატონი ალექსანდრე შალამბერიძე და კახეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე და თელავის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ბატონი გიორგი მოსიაშვილი. მათ ედავებოდნენ, არაკანონიერი შემოწირულობა განახორციელეთო. ალექსანდრე შალამბერიძეს ედავებოდნენ სულ რაღაც 8 ათასი ლარის გადარიცხვას, ხოლო გიორგი მოსიაშვილს – 25 ათასი ლარის უკანონო შემოწირულობის განხორციელებას. მიუხედავად იმისა, ჩვენ ყველანაირი დოკუმენტალური მტკიცებულება წარვადგინეთ, როგორც საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში, ასევე სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატაში. კოლეგიის მოსამართლე გიორგი მიქაუტაძემ, რომელიც, როგორც გაირკვა, ყოფილი პროკურორი ყოფილა, ტენდენციურად წარმართა სასამართლო სხდომა. უპრეცედენტო ფაქტი მოხდა. 17 პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენელი დააჯარიმეს. მათგან ერთი იყო ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი, რომელიც მოაყოლეს ამ ტალღაში და თითქოს დააჯარიმეს. რეალურად, ძირითადი დარტყმა იყო ოპოზიციურ პოლიტიკურ სუბიექტებზე, როგორიც არის კოალიცია „ქართული ოცნება და პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“. საბოლოო ჯამში, 300 ათასი ლარით იქნა დაჯარიმებული პარტია „თავისუფალი საქართველო“. ეს უკანონო გადაწყვეტილება ჩვენ 48 საათში გავასაჩივრეთ, მაგრამ სააპელაციო პალატამ ეს გადაწყვეტილება დატოვა ძალაში. სამწუხაროდ, ეს გადაწყვეტილება კანონის თანახმად აღარ საჩივრდება. ამიტომ ვაპირებთ განაცხადის შეტანას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

***– თუმცა, ევროპულ სასამართლოს ძალიან გვიან გამოაქვს ვერდიქტი.***

– პროცედურულად, რა თქმა უნდა, დროში გაწელვადია.

***– ამ საქმეზე ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებას რომ გამოიტანს, ალბათ, საქართველოში სააკაშვილის ხელისუფლება აღარ იქნება.***

– ვიმედოვნებ, სააკაშვილის რეჟიმის პირობებში რეპრესირებული სამოქალაქო საზოგადოება ვერდიქტს გამოუტანს ამ ხელისუფლებას. თუმცა, სამოქალაქო საზოგადოებამ ამ ხელისუფლებას ვერდიქტი დიდი ხანია გამოუტანა. სამოქალაქო საზოგადოებამ შიშის ფაქტორი დიდი ხანია გადალახა. მას უნდა, ოქტომბრის არჩევნებში კენჭისყრის დღეს მივიდეს ყველა და უშიშრად დააფიქსიროს თავისი პოზიცია – შემოხაზოს ის პოლიტიკური სუბიექტი, რომელსაც ის ენდობა. ამიტომაა, რომ ხელისუფლება ფინანსურ მაქინაციებს მიმართავს. უყადაღებენ ქონებას, ატარებენ კონტროლის პალატაში, რომ პოლიტიკური პარტიები ამოაგდონ იმ ჩვეული სამუშაო რეჟიმიდან, რასაც ჰქვია წინასაარჩევნო კამპანია. ვერც ერთ ქვეყანას ვერ ნახავთ, რომ შაბათ-კვირას სასამართლო პროცესებს ატარებდეს.



***– კანონმდებლობა სათავისოდ აქვთ აწყობილი და ნათია მოგელაძესაც მაინცდამაინც პარასკევს უნდება დაჯარიმება.***

– ეს ყველაფერი უკვე ღიმილის მომგვრელია, სატირალი რომ არ იყოს. 10 დღე ჰქონდა მონიტორინგის სამსახურს, თუ რაიმე ინფორმაცია სჭირდებოდა, შეეძლო მოეთხოვა, მაგრამ არ მოითხოვა და მეათე დღეს პარასკევს ღამის 11 საათზე მოსიაშვილს, შალამბერიძეს, ჭუბაბრიას მიუვიდათ სასამართლო უწყებები, რომ მეორე დღეს, 7 ივლისს, დანიშნული გახლდათ ქალაქის სასამართლოში სხდომა 4 საათზე. მიუხედავად იმისა, დავაყენეთ შუამდგომლობა კოლეგიის წინაშე, რომ ეს პირდაპირ დისკრიმინაციაა და მოგვეცით გონივრული დრო, მტკიცებულებები წარმოვადგინოთო, მასხრად აგვიგდეს ყველა და, მეორე დღეს, კვირას ჩანიშნეს სასამართლო სხდომა, ანუ საშუალება არ მოგვცეს თავი დაგვეცვა. ეს არის კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლოს პრინციპების დარღვევა.

***– რასაც თქვენ ჰყვებით, პირველი შემთხვევა არ არის.***

– 8 წელია ეს ხელისუფლება, უკაცრავად და, აუპატიურებს სამართალს და მართლმსაჯულებას. ამ ქვეყანაში თემიდა შეურაცხყოფილი კი არა, გაუპატიურებულია, კანონის უზენაესობაზე აღარ ვლაპარაკობ.

***– ქვეყანაში პოლიტიკური ნება არ არსებობს, რომ სასამართლო იყოს თავისუფალი, მაგრამ კანონით ხომ დამოუკიდებლები არიან. ამიტომ საინტერესოა, სააკაშვილის ხელისუფლების შემდეგ ამ მოსამართლეთა კორპუსმა როგორ უნდა იცხოვროს და იმუშაოს ამ ქვეყანაში?***

– ამ ქვეყანაში „მოსამართლეები“ ასეთი ცნება დიდი ხანია აღარ არსებობს. მე მათ დავარქვი უსამართლოები. ჩემმა მეგობარმა ლაშა ჩხარტიშვილმა ამ მოსამართლეთა კორპუსს უწოდა სიმართლის მკვლელები. მეც ვეთანხმები ლაშას. ესენი არიან სააკაშვილის ჯიბის მოსამართლეები. მათ არანაირი კავშირი არ აქვთ მართლმსაჯულებასა და სამართლიანობასთან. ისინი არიან კრიმინალები, ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დამნაშავეები. მოსამართლემ ვერ უნდა გაბედოს, რომ არ უსამართლოს კანონს. დღევანდელი ჩვენი მოსამართლე არღვევს კონსტიტუციას, კანონის უზენაესობას და გამოხატავს ხელისუფლების ნებას. ორგანული კანონი სასამართლოების შესახებ, მუხლი 3 და 4 ადგენს, რომ ყველა მოსამართლე არის დამოუკიდებელი და ემორჩილება მხოლოდ კანონს. დღევანდელი ჩვენი მოსამართლეები ემსახურებიან პროკურატურას.

# სს აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი–საქართველო“

# რისთვის დაიქირავა ხელისუფლებამ ლობისტები

ნათია ხურცილავა

პარტია „საქართველოს გზის“ საპატიო თავმჯდომარე სალომე ზურაბიშვილი ხელისუფლებას ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებს. ზურაბიშვილის განცხადებით, მაშინ, როდესაც ხელისუფლება მინიმალურ თანხებს იმეტებს კახელი მოსახლეობის დასახმარებლად, ხელს აწერს პიარისტულ კონტრაქტებს ორ ძალიან ძვირადღირებულ ლობისტურ კომპანიასთან.

ამის შესახებ ზურაბიშვილმა განცხადება სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გააკეთა.

– როცა კახეთის დაზარალებული გლეხებისათვის ხელისუფლება მეტად მცირე თანხებს იმეტებს, ნიშანდობლივია, რომ ხელი მოეწერა ახალ პიარისტულ კონტრაქტებს, კერძოდ, პრიმე პოლიც გროუპ-თან დაიდო 6-თვიანი კონტრაქტი, რომელიც 150 000 დოლარს აღემატება და მეორე გეპჰარდ გოვერნმენტ აფფაირს



ჯგუფთან 180 000 დოლარის ოდენობით. ჯამში, ამ წლის დანახარჯი ბიუჯეტიდან ლობისტურ ფირმებზე აღემატება 1.56 მილიონ დოლარს, – ნათქვამია ზურაბიშვილის განცხადებაში.

ზურაბიშვილის განცხადებით, თითქოს ლობისტები ნატოში გაწევრიანებისათვის საქართველოს მხარდაჭერა-გაპიარებას ისახავენ მიზნად, მხოლოდ ფარია ხელისუფლებისთვის, რადგან, მისი თქმით, ამ ლობისტურ კომპანიებს სინამდვილეში სააკაშვილის პირადი იმიჯის გადარჩენა და ამ საარჩევნო პერიოდში ოპოზიციის გაშავება სურთ.

ზურაბიშვილის განცხადებით, დროა, პასუხი გაეცეს ამ ლობისტების მიერ უცხო პრესაში დაბეჭდილ სტატიებს, რომლებიც ივანიშვილს ადანაშაულებენ პიარზე „თავისი“ ფულის ხარჯვაში, მაგრამ სიტყვას არ ამბობდნენ იმ თანხებზე, რომლებიც ბიუჯეტიდან უკვე რამდენიმე წელია არა საქართველოს სიკეთისათვის, არამედ სააკაშვილის პირადი პოლიტიკური დაცვისთვის იხარჯება.

# მაჟორიტარები გიორგი ლაღიძემაც დაასახელა

**გუშინ პარტია „მომავალმა საქართველომ“ მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა. პარტიის ლიდერ გიორგი ლაღიძის განცხადებით, ეს არის მაჟორიტარობის კანდიდატთა არასრული სია. კიდევ რამდენიმე კანდიდატს ის ახლო მომავალში წარადგენს. გიორგი ლაღიძეს არჩევნებში გარკვეული წარმატებების იმედი აქვს და ამბობს, რომ თავის სიტყვას ოქტომბერში აუცილებლად იტყვის.**

ლიზა მახარაშვილი

– დღეს ჩვენი პარტია წარადგენს საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარობის კანდიდატების ნაწილს და შემდგომ უკვე მეორე ეტაპზე იქნება შემდეგი ნაწილის დასახელება. საერთო ჯამში, ჩვენ ვაპირებთ საქართველოს საკმაოდ ბევრ რეგიონში ჩვენი კანდიდატების დასახელებას. ესენი არიან ძალიან ღირსეული ადამიანები, რომლებსაც ენდობა ქართველი საზოგადოება და ვფიქრობ, რომ ზუსტად ასეთი ადამიანების მიმართ უნდა გაკეთდეს არჩევანი და ისინი უნდა იყვნენ წარმოდგენილნი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში. ჩვენ ამ ეტაპზე წარმოვადგენთ რამდენიმე რაიონს, მე, პირადად, ვიქნები გარდაბნის რაიონიდან გარდაბნის მაჟორიტარობის კანდიდატი. ტყიბულიდან მაჟორიტარობისათვის იბრძოლებს ბატონი გელა ჩივაძე. ის პროფესიით იურისტია და ძალიან ბევრი აქვს გაკეთებული ტყიბულისთვის, წლების მანძილზე იქ მოღვაწეობდა, ძალიან ბევრი რამე აქვს იმ რაიონისთვის გაკეთებული და სურს, რომ თავის ხალხს კიდევ ბევრი სიკეთე გაუკეთოს. ჩხოროწყუში ჩვენ წარმოვადგენთ ბატონ როლანდ ხორავას. ეს ადამიანი მოდის ეროვნული მოძრაობიდან. მას აქვს სუფთა წარსული. ის ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას დროს იყო პოლიტიკურ ასპარეზზე და უნდა, დაწყებული კეთილი საქმეები ბოლომდე მიიყვანოს. მარტვილში ჩვენი კანდიდატი იქნება ალექსანდრე ჯღარკავა, რომელიც ასევე ეროვნული მოძრაობიდან მოდის, არის მწერალი, არაერთი წიგნის ავტორი. ამ ადამიანმა თავისი რაიონის პრობლემები ძალიან კარგად იცის და დიდი ნდობით სარგებლობს. ზუგდიდიდან ჩვენი წარმომადგენელი საპარლამენტო არჩევნებზე იქნება სოსო კორკელია, პროფესიით იურისტი. ეს ადამიანი არის აფხაზეთიდან დევნილი და ძალიან კარგად იცის ის პრობლემები, რომლებიც ამ ადამიანებს აწუხებთ. ძველი თბილისის რაიონიდან ჩვენ წარმოვადგენთ დავით თორდუას. ბატონი დავი-



თი პროფესიით იურისტია, წლების მანძილზე მსახურობდა შეიარაღებულ ძალებში, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში. საერთო ჯამში, ჩვენ გვყავს ძალიან ღირსეული კანდიდატები წარდგენილი და, ვფიქრობ, რომ ჩვენი ამომრჩევლებიც ასევე ღირსეულ არჩევანს გააკეთებენ, რადგანაც ქვეყანაში უნდა დასრულდეს ის უსამართლობა, რომელიც არსებობს, – განაცხადა გიორგი ლაღიძემ. რაც შეეხება პირადად მის კანდიდატურას, ლაღიძე აცხადებს:

– რაც შემეხება პირადად მე, საზოგადოებამ უნდა შეაფასოს, რა მაქვს ჩემი მოღვაწეობის მანძილზე გაკეთებული საქართველოსთვის. ყურადღებას განსაკუთრებით გარდაბნის რაიონზე გავამახვილებ. მე განსაკუთრებით კარგად ვიცნობ ამ რაიონის პრობლემებს, რადგანაც იქიდან ვარ წარმოშობით და სწორედ ამ რაიონიდან ვაპირებ მაჟორიტარობისთვის ბრძოლას. ჩვენ წინასაარჩევნო კამპანია უკვე დავიწყეთ, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სოციალურ საკითხებს. მინდა ვთქვა, რომ ამ პრობლემებზე ყოველთვის ვამახვილებდით ყურადღებას, ყოველთვის იქ ვიყავით, სადაც ირღვევა ადამიანის უფლებები. ჩვენ ამას გავაკეთებთ არჩევნების წინ, არჩევნების პერიოდში და მის შემდგომაც, რადგანაც ეს არის ჩვენი მოვალეობა და ქართველ საზოგადოებას ყოველთვის დავუდგებით გვერდით.

**გელა ჩივაძე, მაჟორიტარობის კანდიდატი:**

– ის, რომ ადამიანმა შეძლებისდაგვარად შენს ხალხზე უნდა იზრუნო, პირადად ჩემთვის დაუწერელი კანონია. ხალხზე ზრუნვა ჩემთვის უცხო არ არის. ჯერ კიდევ 1997 წლიდან აქტიურად ვიყავი ჩართული იმ პროცესებში, რომლებსაც შენი ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნვა ჰქვია. იმ პერიოდში ვიყავი საქართველოს გენერალური პროკურორის თანაშემწე და შედარებით დიდი ბერკეტები მქონდა იმისათვის, რომ ჩემი ხალხისა და ტყიბულელებისთვის მაშინდელი მძიმე ყოფა შემემსუბუქებინა. იმ პერიოდში ჩვენ ჩამოვაყალიბეთ „ახალგაზრდა მამულიშვილთა კავშირი“, რომელიც იყო სრულიად აპოლიტიკური, არაკომერციული ორგანიზაცია და ემსახურებოდა სოფლის აღორძინებას. ჩვენ შევაკეთეთ გზები, ავამუშავეთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, გამოვუშვით საინფორმაციო გაზეთი, რომელიც უფასოდ ურიგდებოდა მოსახლეობას, ვეხმარებოდით ომის მონაწილეებს, ვისაც სჭირდებოდა სამედიცინო მომსახურება, გვყავდა საფეხბურთო გუნდი, ქართული ხალხური ანსამბლი. საქართველოს პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით „ცხრა ჯვრის“ თავზე აღვმართეთ ცხრატონიანი ჯვარი და კიდევ მრავალი სასიკეთო საქმის გაკეთება შევძელით. დღეს აქტიურად ვაგრძელებთ ჩვენს მოღვაწეობას, დახმარებას იმ ადამიანებისთვის, ვისაც ეს სჭირდება.

# „ჩემს ხმაურზე მეუღლე და ბავშვები შემოცვივდნენ, რა ხდებაო... რაღა რა ხდებოდა?! ხელში ფაქტობრივად, 50 ათასი მეჭირა“

## „ნატახტარის“ ტრადიციული გათამაშების ყველაზე იღბლიანი რუსთავის მკვიდრია

„62 წლის ვარ, ასეთი სიხარული დიდი ხანია აღარ განმიცდია, დაუჯერებელი იყო, მართლა არ მეგონა, ეგ ის იღბლიანი ადამიანი თუ მე აღმოვჩნდებოდი...“ – ემოციებს ვერ მალავდა ჩვენთან საუბრისას „ნატახტარის“ ტრადიციული გათამაშების გამარჯვებული ოლეგ ღვინიანიძე, რომელიც „ნატახტარის გათამაშებით“ მთავარი პრიზის – 50 ათასი ლარის მფლობელი გახდა.

ცხოვრობს ქალაქ რუსთავში, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. როგორც თავად ამბობს ლუდის სიყვარულმა ბედს აზიარა: „ლუდი ძალიან მიყვარს, „ნატახტარი“ ყველაზე მეტად. დღე არ გავა ლუდი არ დავლიო. ეს საბედისწერო დღეც ასე დაიწყო. სამსახურიდან დაღლილი დავბრუნდი, ისეთი დაღლილი მაღაზიაში შესვლაც კი დავიზარე, მეგობარს ვთხოვე ლუდი ეყიდა და ფული მივეცი. რა ვქნა, 2 ლიტრიანი არ იყო და 2,5 ლიტრიანი ვიყიდეო. უფრო მეტი ლუდი შეგვხდება-მეთქი – გავეხუმრე. სახლში ავედით, კათხები შევავსეთ და უკვე უნდა მომესვა, თავსახური ავიღე და გავიფიქრე, ორჯერ 20 ლარი მოვიგეთ და აბა, მესამედ რას გვიმზადებს „ნატახტარი“. 50 რომ დავინახე, თავდაპირველად მეგონა ბოთლი მოვიგე, თვალებს არ ვუჯერებდი, ჩემს ხმაურზე მეუღლე და ბავშვები შემოცვივდნენ, რა ხდებაო... რაღა რა ხდებოდა?! ხელში ფაქტობრივად, 50 ათასი მეჭირა.“

***– პირად ცხოვრებაშიც ასე გაგიმართლათ?***

– ნამდვილად გამიმართლა. მყავს ოჯახი, რომელიც ძალიან მიყვარს. დღემდე შეყვარებული ვარ. უცნაური ხასიათი მაქვს. არ მინდოდა ჩემს მეუღლეს ემუშავა, სურვილი მქონდა, ის მარტო დიასახლისი ყოფილიყო და ყველაზე დიდი დრო ოჯახისთვისა და ბავშვებისთვის დაეთმო. ასეც მოხდა. ძალიან კარგი დიასახლისი და ოჯახის მოსიყვარული ადამიანია.




გარდა ამისა, ისედაც იღბლიანი ვარ. ადრე ავარიაში მოვყევი, ჩემთან ერთად ვინც იყო, ყველა საავადმყოფოში მოხვდა, მე ერთი ნაკაწრიც არ მქონდა. ალბათ თავიდანვე მფარველი მყავს ზემოთ.

***– 50 ათასის მოგებასაც თქვენს იღბალს მიაწერთ?***

– რა თქმა უნდა. ჩემს იღბალს და ლუდის სიყვარულს. თუმცა არ მეგონა, ასეთი რამე თუ რეალურად ხდებოდა. არც მეზობლები და ახლობლები იჯერებდნენ.

***– თქვენ 20 ლარი ორჯერ მოიგეთ ამ გათამაშების ფარგლებში...***

– ესეც მოულოდნელი იყო, ჯერ ჩემმა შვილმა და შემდეგ მე. მეუღლეს ვთხოვე გაეხნა ბოთლი და გახარებულმა, აბა, გამოიცანი ხელში რა მიჭირავსო. არ ვუჯერებდი, 20 ლარი რომ დამანახა, გამეცინა. ვუთხარი „ნატახტარის“ სახელზე ტყემალი გაეკეთებინა და ვაჩუქე. საკმაოდ გემრიელი ტყემალი გამოგვივიდა.

***– თავად როგორი მზარეული ხართ?***

– მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეუღლე საუკეთესო დიასახლისია, მეც მიყვარს სამზარეულოში ყოფნა და საკმაოდ გემრიელი კერძები გამომდის. თუმცა მინდა ვაღიარო, ამას მაშინ ვინდომებ, როცა სახლში ქალი არ არის.

***– ერთი სიტყვით, ყველაფერი გეხერხებათ, რა პროფესიის ხართ?***

– მთელი ცხოვრება ვმუშაობ, ზოგჯერ თავად ვიგონებ სამუშაოს, რომ უქმად არ ვიყო. პროფესიით ელექტრიკოსი ვარ, სტაბილური სამსახური არ მაქვს, ამიტომ ძირითადად სხვადასხვა კომპანიებთან ვთანამშრომლობ. ღორების საკუთარი ფერმა მაქვს, შრომა არ მეზარება, ერთი სიტყვით, არ ვჩერდები.

***– მოგებული თანხის დახარჯვას სად და როგორ აპირებთ?***

– ფერმის გაფართოებაზე ვოცნებობდი, ბედმა გამიღიმა და შანსი მომცა. ალბათ თანხის ძირითად ნაწილს მას მოვახმარ. დანარჩენს ოჯახის წევრებს გადავუნაწილებ, მათაც გაუჩნდათ გეგმები და სურვილები, რაზეც უარს ვერ ვეტყვი.



# როგორ იზეიმებს საქართველო პატრიარქის იუბილეს?

ეკა ირემაშვილი

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის ეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორისთვის წლევანდელი წელი სამმაგად საიუბილეოა. წელს მისი უწმინდესობის აღსაყრდებიდან 35 წელი, სასულიერო ცხოვრების 50 წელი და დაბადებიდან 80 წელი სრულდება, ამიტომაც საქართველოს მთავრობამ სპეციალური საორგანიზაციო კომისია შექმნა, რომელიც საქართველოს პატრიარქის საიუბილეო ღონისძიებების დაგეგმვაზე იმუშავებს. კომისია ათ დღეში ერთხელ იკრიბება და საიუბილეო ღონისძიებების დეტალებს აზუსტებს.**

პატრიარქის საიუბილეო ღონისძიებების კომისიას პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ხელმძღვანელობს. პირველ სხდომას სინოდის წევრებთან ერთად დეპუტატი ხათუნა გოგორიშვილი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძე, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით ტყეშელაშვილი, თბილისის მერი გიგი უგულავა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ყოფილი მინისტრი კობა სუბელიანი ესწრებოდნენ.

უკვე ცნობილია, რომ პატრიარქის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები ნაკლებად პომპეზური, მაგრამ ღირსეული, საინტერესო და მრავალფეროვანი იქნება. დავით ბაქრაძის თქმით, პატრიარქის საიუბილეო დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მისი უწმინდესობისადმი დიდი სიყვარულის გამოხატვა იქნება, რადგან ეს არის იუბილე, რომელიც მთელმა ერმა და მართლმადიდებელმა საზოგადოებამ ღირსეულად უნდა აღნიშნოს. სპეციალურ კომისიას ევალება, საიუბილეო ღონისძიებები დაგეგმოს საპატრიარქოსთან და სინოდთან მჭიდრო და ერთობლივი თანამშრომლობის, რეკომენდაციებისა და პოზიციების საფუძველზე.

საქართველოს პატრიარქის იუბილესთან დაკავშირებით პირადი არქივიდან მისი ქადაგებები და ეპისტოლეები გამოიცემა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა განმარტავს:

– წელს სამმაგი იუბილეა: 35 წელია პატრიარქის აღსაყდრებიდან, 50 წელია, რაც სასულიერო ცხოვრებას ეწევა და მისი დაბადებიდან 80 წელი სრულდება. ამიტომ სახელმწიფომ და საპატრიარქომ ერთობლივი ძალებით გადაწყვიტა სამმაგი იუბილეს ჩატარება. უკვე გაიმართა შეხვედრები იმ ღონისძიებების თაობაზე, რომლებიც ამ სამ მნიშვნელოვან თარიღს უნდა მიეძღვნას. ეს ყველაფერი ღირსეულად აღნიშვნას იმსახურებს. მოხდება როგორც ისტორიული, ასევე მისი პირადი არქივიდან მისი ქადაგებებისა და ეპისტოლეების გამოცემა. ამასთან, მისი ნაწარმოებები სხვადასხვა ფორმით შესრულდება, – განაცხადა ნიკოლოზ რურუამ.

უწმინდესი და უნეტარესი ილია II – ერისკაცობაში ირაკლი ღუდუშაური-შიოლაშვილი, 80 წლის წინ დაიბადა ქალაქ ორჯონიკიძეში გიორგი ღუდუშაურ-შიოლაშვილისა და ნატალია კობაიძის ოჯახში. მისი მშობლები საქართველოდან, ყაზბეგის მუნიციპალიტეტიდან იყვნენ. მამა – სოფელ სნოდან, დედა – სოფელ სიონიდან. მათ სახლი შეიძინეს ვლადიკავკაზშიც, სადაც შემდეგ დაიბადა საქართველოს მომავალი პატრიარქი. მშობლებმა სამი დღის ახალშობილი ქრისტეშობის დღეს მონათლეს ქართულ ტაძარში და ყრმას ერეკლე II-ის პატივსაცემად ირაკლი უწოდეს. ნათლიები იყვნენ არქიმანდრიტი ტარასი (კანდელაკი) და მონაზონი ზოილე (დვალიშვილი). დედა ზოილეს პატარა ირაკლი სამთავროს მონასტერში ხშირად დაჰყავდა, სადაც მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძისაგან სამი წლის ირაკლის ლოცვა-კურთხევა მიუღია. 1957 წლის 16 აპრილს სასულიერო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი, 24 წლის ირაკლი შიოლაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისის ალექსანდრე ნეველის ტაძარში ბერად აღიკვეცა და სახელად წმიდა ილია წინასწარმეტყველის პატივსაცემად ილია ეწოდა. ბერად აღკვეცის საიდუმლო შეასრულა ეპისკოპოსმა ზინობიმ (მაჟუგა). სიონის საპატრიარქო ტაძარში ბერი ილია ხელდასხმულ იქნა იეროდიაკვნად, ხოლო წმიდა სერგის მონასტრის ლავრაში იეროდიაკვანი ილია, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდეს ალექსი II-ის მიერ ხელდასხმულ იქნა მღვდელმონაზვნად. ილია მეორემ მოსკოვის სასულიერო აკადემია პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა, სადაც მეოთხე კურსზე დაწერა საკანდიდატო შრომა „ათონის ივერიის მონასტრის ისტორია“, რისთვისაც მიენიჭა ღვთისმეტყველების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. აკადემიის საბჭომ საპროფესორო სტიპენდიატად დარჩენა შესთავაზა და სთხოვა, გაეგრძელებინა სამეცნიერო მოღვაწეობა. მას საშუალება ეძლეოდა, ლექციები წაეკითხა სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში, მაგრამ უწმინდესისა და უნეტარესის ეფრემ II-ის კურთხევა სხვაგვარი იყო, მღვდელმონაზონ ილიას სამშობლოში უნდა დაეწყო მოღვაწეობა. მღვდელმონაზონმა ილიამ უარი თქვა საპატიო კარიერაზე, სამშობლოში დაბრუნდა და და დაინიშნა ბათუმის საკათედრო ტაძარში მღვდელმსახურად. ერთგული მოღვაწეობისათვის იგი აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში, შემდეგ კი – არქიმანდრიტის ხარისხში. ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში, როცა რუსეთში ხუთი სემინარია, მრავალი ტაძარი და მონასტერი დაიხურა, უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ საქართველოში სასულიერო სასწავლებლის გახსნა მოახერხა, რომელსაც, მეტი სიფრთხილისათვის, „საღვთისმეტყველო კურსები“ დაარქვეს. სწორედ ამ „საღვთისმეტყველო კურსების“ პირველ რექტორად დაინიშნა არქიმანდრიტი ილია. იგი იყო მცხეთის სასულიერო სემინარიის, იმ დროისათვის ერთადერთი სასულიერო სასწავლებლის პირველი რექტორი. ამავდროულად, იგი მოღვაწეობდა ქართული ეკლესიის მღვდელმსახურთა ახალი კადრების მომზადების სფეროში. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ეფრემ II-ის მიერ საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავართა თანამწირველობით არქიმანდრიტი ილია ხელდასხმულ იქნა ბათუმ-შემოქმედელ ეპისკოპოსად და დაინიშნა კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. აჭარაში შვიდი წლის მოღვაწეობის შემდეგ, პარტიარქის ლოცვა-კურთხევით, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად გადაიყვანეს. იგი აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში. მიტროპოლიტმა ილიამ სოხუმში 11 წელი დაჰყო. მან ჯილდოდ მიიღო მეორე პანაღიის ტარების უფლება, ხოლო სამი წლის შემდეგ – უფლება სკუფიაზე ჯვრის ტარებისა. 35 წლის წინ გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V (დევდარიანი). ამავე წლის 9 ნოემბერს, წმიდა სინოდის განჩინებით, პატრიარქის მოსაყდრე გახდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია. 23 დეკემბერს თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში გამართულმა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის XII ადგილობრივმა კრებამ განიხილა საქართველოს ეკლესიის ახალი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის საკითხი და მიტროპოლიტი ილია ერთხმად იქნა არჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად და ეწოდა ილია II. ილია I საქართველოს ეკლესიას მართავდა 1600 წლის წინ 10 წლის განმავლობაში. 25 დეკემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქო ტახტზე, რომელიც ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელისაგან იღებს დასაბამს, ახალი პატრიარქი იქნა აღყვანილი, მცხეთის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა ახალი კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრება. მის უწმინდესობას მსოფლიო საპატრიარქომ მიანიჭა მტკიცების სიგელი, რითაც მთელმა მართლმადიდებელმა სამყარომ ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. კათოლიკოს-პატრიარქის მოღვაწეობის პერიოდში საქართველოს ეკლესიის წმინდანთა დასს მრავალი წმინდანი შეემატა. მისი თაოსნობით მცხეთის სასულიერო სემინარია გადმოტანილ იქნა თბილისში და დაარსდა თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარია. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიხსნა სასულიერო სასწავლებლები, კვლავ აღდგა გელათის სასულიერო აკადემია და ეკლესიის ეგიდის ქვეშ მყოფი გელათის მეცნიერებათა აკადემია. უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით თანამედროვე ქართულ ენაზე გამოიცა ბიბლია, საღვთისმეტყველო კრებულები, ბროშურები და წიგნები, ჟურნალები, სამი სახის კალენდარი, დაარსდა გაზეთები. მისი ინიციატივით საპატრიარქოსთან შეიქმნა ხუროთმოძღვრების ცენტრი, ხალხური რეწვის და მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილება, საგამომცემლო და სიწმიდეთა მოძიებისა და დაცვის ცენტრი, შეიარაღებულ ძალებთან და სამართალდამცავ დაწესებულებებთან ურთიერთობის განყოფილება, ასევე საგარეო და საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება, საინფორმაციო სამსახური, ჩამოყალიბდა ახალგაზრდული ცენტრი „ძლევაი“, ჰუმანიტარული სამსახური, მომლოცველობის სამსახური. ოცი წლის მანძილზე საქართველოს ეკლესიის ეპარქიათა



რიცხვი 15-დან 33-მდე გაიზარდა, მონასტრებისა – 53-მდე, სასულიერო პირთა – 1000-მდე, მოხდა კანონიზირება ახალი წმინდანებისა. აშენდა საქართველოში ყველაზე დიდი ეკლესია – წმინდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარი. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი. იგი დაჯილდოებულია მსოფლიოს საპატრიარქოს, ანტიოქიის, იერუსალიმის, ალექსანდრიის, რუსეთის, საქართველოს, საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის და თითქმის ყველა სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი. ნიუ იორკის სასულიერო აკადემიამ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს ღვთისმეტყველების დოქტორის საპატიო წოდება მიანიჭა. მისი უწმიდესობა კრეტის სასულიერო აკადემიამ თავის საპატიო წევრად აირჩია. ამავე წელს იგი არჩეულ იქნა გაეროსთან არსებულ ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის წევრად. ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა ტიხონის საღვთისმეტყველო სემინარიამ კი ილია მეორეს ღვთისმეტყველების დოქტორის საპატიო წოდება მიანიჭა. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა უნივერსიტეტმა საპატიო დოქტორისა და პროფესორის წოდება მიანიჭეს.

ილია მეორის სამმაგი იუბილეს აღნიშვნა ჯერ კიდევ აპრილში დაიწყო, როდესაც რიგით მეშვიდე საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“ საქართველოს პატრიარქს მიეძღვნა. ეს ფესტივალი ორჯერ უკვე მიეძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს – მეორე ფესტივალი პატრიარქის აღსაყდრების 30 წლისთავს, ხოლო მესამე ფესტივალი – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 75 წლის იუბილეს. ფესტივალის ორგანიზატორია „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საქველმოქმედო ფონდი“, სამხატვრო ხელმძღვანელი კი ალექსანდრე კორსანტიაა. საფესტივალო კონცერტები თბილისში ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარდა, მოგვიანებით კი მთელ საქართველოს მოიცავს და სტეფანწმინდაში, მარტვილში, ქუთაისსა და ბათუმში გაგრძელდა.

– თუ გვსურს საზოგადოების წინსვლა, უნდა ვიზრუნოთ მისი კულტურის ამაღლებაზე, – ბრძანა მისმა უწმინდესობამ. საქართველოს პატრიარქის ეს გამონათქვამი ყოველწლიური ფესტივალის მთავარ აზრობრივ იდეად იქცა და განაპირობა მისი მაღალი პროფესიული დონე. სწორედ ამიტომაც ამ ფესტივალმა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ღირსეული ადგილი მოიპოვა. საქართველოს პატრიარქის რჩევით, ფესტივალი საგანმანათლებლო მისიის მატარებელია და მოძალებული ფსევდო კულტურის ფონზე ახალგაზრდების ცნობიერების სწორად ჩამოყალიბებას ემსახურება. იმთავითვე განისაზღვრა მისი საქველმოქმედო დანიშნულებაც, საღამოებზე დასწრება თავისუფალია. ფესტივალის მთავარი მონაპოვარია მისი საყოველთაობა და მასშტაბი. აღდგომის შემდგომ, ბრწყინვალე შვიდეულის კვირაში, ქვეყნის საკონცერტო დარბაზები ეთმობა პროფესიონალურ შემოქმედებას, სასულიერო, ხალხურ და კლასიკური მუსიკას, დრამატულ ხელოვნებას, მხატვრობას, პოეზიას, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და მოზარდების შემოქმედებას, ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ქართველ ხელოვანებსა და საგანგებოდ ფესტივალში მოწვეულ უცხოელ შემსრულებლებს.

საერთაშორისო ფესტივალის შინაარსს ყოველ წელს ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ქმნიდა – მარინა იაშვილი, ლიანა ისაკაძე, ბიძინა კვერნაძე, ანზორ ერქომაიშვილი, ვალერიან შიუკაშვილი, ნიკა მემანიშვილი, ალექსანდრე კორსანტია. საორგანიზაციო კომიტეტისა და მრჩევლების გადაწყვეტილებით, 2012 წლიდან ფესტივალს უხელმძღვანელებს ალექსანდრე კორსანტია. ამ ფესტივალის დამფუძნებლები არიან სულიერების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი და აკაკი რამიშვილის ფონდი „ტრადიცია და ინოვაცია“.

ფესტივალის ეგიდით გაიმართა კამერული, სიმფონიური, ვოკალური და საფორტეპიანო მუსიკის კონცერტები, რომელშიც მონაწილეობდნენ სურენ ბაგრატუნი ჩელო (აშშ), გიორგი ვაჩნაძე (ფორტეპიანო), ალიოშა იურინიჩი. შესრულდა ბეთჰოვენის, ვერდის, რახმანინოვისა და ალექსი მაჭავარიანის ნაწარმოებები. ფესტივალმა ვოკალური მუსიკის საღამო ვაჟა ჩაჩავას ხსოვნას მიუძღვნა, სადაც ჰაიდნის, მოცარტის, ბრამსის, შუმანის, დონიცეტის, კაჩინის, კატალანის, სენ-სანსის, დვორჟაკის, ვაგნერის, ფლოტოვის, ჩაიკოვსკის, თაქთაქიშვილისა და ლაღიძის ნაწარმოებები აჟღერდა. საღამოში მონაწილეობდნენ ნანა მირიანი ქავთარაშვილი (სოპრანო), სალომე ჯიქია (სოპრანო), ნანა ძიძიგური (მეცო სოპრანო), მამუკა მანჯგალაძე (ტენორი), გიორგი წამალაშვილი (ბარიტონი), ვიქტორია ჩაპლინსკაია (კონცერტმაისტერი). ფესტივალში ჩაერთო თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის „სინფონიეტა“, სადაც სოლისტები იყვნენ ამერიკელი ჩელისტი სურენ ბაგრატუნი და ქართველი მევიოლინე ნინო დავითაშვილი. მათ ჰაიდნის, მოცარტის, შოსტაკოვიჩის, ოთარ ტაქტაქიშვილის ნაწარმოებები შეასრულეს. თბილისის ოპერის სიმფონიურმა ორკესტრმა და სოლისტებმა გიორგი ვაჩნაძემ (ფორტეპიანო), სოპრანო ნანა მირიანმა (ქავთარაშვილი), ბარიტონმა სულხან გველესიანმა და მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანმა შეასრულეს მოცარტის, ვერდის, რახმანინოვისა და ალექსი მაჭავარიანის ნაწარმოებები. დასკვნითი კონცერტის მეორე განყოფილებაში კი საქართველოს პატრიარქის საგალობელი „აგნუს დეი“ შესრულდა, რომლის არანჟირებისა და ორკესტრობის ავტორი ზვიად ბოლქვაძეა. საგალობელი შექმნილია 2 სოლისტის, გუნდისა და ორკესტრისთვის. თბილისის შემდეგ საფესტივალო საღამოები სტეფანწმინდაში, მარტვილში, ქუთაისში და ბათუმში ჩატარდა, სადაც მონაწილეობდნენ სოპრანო ნანა მირიანი (ქავთარაშვილი), პიანისტი ვიკა ჩაპლინსკაია, მევიოლინე გია იაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი, ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრი და დირიჟორი ნიკოლოზ რაჭველი, თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „სინფონიეტა“ და სოლისტები ალექსანდრე კორსანტია (ფორტეპიანო), ლევან ცხადაძე (კლარნეტი), დავით შამანაური (საყვირი), ჰაიკ ბაბაიანი (ჩელო), ნინო დავითაშვილი (ვიოლინო), სალომე ჩიტაია (ფორტეპიანო), ნინო ბარქაია (ფორტეპიანო). პატრიარქისადმი მიძღვნილ ფესტივალზე შესრულდა შოსტაკოვიჩის, იოსებ ბარდანაშვილის, ოთარ ტაქტაქიშვილის ნაწარმოებები. იოსებ ბარდანაშვილის შემოქმედება წარმოადგინეს ბათუმის სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა (დირიჟორი დავით მუქერია), ბათუმის სახელმწიფო კაპელამ (ხელმძღვანელი ქეთევან მანელიშვილი), ბათუმის ქალთა კამერულმა გუნდმა (ხელმძღვანელი ზაირა ვადაჭკორია), თბილისის სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა „სინფონიეტა“, სოლისტები იანივ დ'ორ – კონტრა ტენორი (ისრაელი), ედიშერ სავიცკი (ფორტეპიანო), ლევან ცხადაძე (კლარნეტი), ჰაიკ ბაბაიანი (ჩელო), სალომე ჩიტაია და ნინო ბარქაია (საფორტეპიანო დუეტი). ორგანყოფილებიან საკონცერტო პროგრამაში შევიდა „ფსალმუნი 123“ (შერეული გუნდისთვის), „პერპეტუუმ მობილე“ (4 ხელისთვის), „მეტამორფოსა“ (კლარნეტისა და ფორტეპიანოსთვის), „ფანტაზია“ (ფორტეპიანოსთვის), „წერტილები“ (სიმებიანი სექსტეტისთვის). ასევე სამი საგუნდო მინიატურა „სიმღერა საქართველოზე“, ფსალმუნი „სანთელი“, „ალელუია“. „წყვილი“ (კლარნეტის, ჩელოსა და სიმებიანებისთვის), „ღვთის შვილები“ (კონტრატენორისა და სიმფონიური ორკესტრისთვის).


## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● კლინიკა „მედიგარდი“ გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

# ზესტაფონის დაწყებული, ნეფთჩიმ დაასრულა

**ზესტაფონი _ ნეფთჩი 2:2**

***1:0 მუჯირი (16), 2:0 დვალი (19), 2:1 ვობაი (22), 2:2 სადიგოვი (52პ)***

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, ღონღაძე (ელიავა 68), თორნიკე გრიგალაშვილი, კობახიძე, მუჯირი, დვალი, თედორე გრიგალაშვილი, გორგიაშვილი (აფციაური 63), შარიქაძე, მენთეშაშვილი, ოვონიკოკო (ბენაშვილი 55)

**ნეფთჩი:** რ.მეჰდიევი, მალიკოვი, მიტრესკი, სადიგოვი (ე.მეჰდიევი 83), ფლავიო, ვობაი (აბდულაევი 75), კანალესი, რამოსი, ბერტუჩი, იმამვერდიევი (სეიდოვი 68), იუნუზადე

ყველაფერი ზღაპარივით დაიწყო, მაგრამ „ზესტაფონისთვის“ ჭირი აქა, ლხინი იქა-თი დასრულდა.

ბაქოში განცდილი, ერთი კვირის წინანდელი, გამანადგურებელი მარცხისათვის ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მატჩში საქართველოს ჩემპიონებს მეტოქე მინიმუმ 3 ბურთიანი სხვაობით უნდა დაემარცხებინა. ცხადია, სამბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა ნებისმიერი გუნდისათვის ურთულესი საქმეა, რა მეტოქესთანაც არ უნდა გქონდეს საქმე. მით უფრო, რთული იქნებოდა „ზესტაფონისთვის“, რადგან მეტოქედ მასზე სუსტი გუნდი ნამდვილად არ ჰყავდა. თუმცა, ამ ფაქტთან იმდენად ახლოს იყვნენ, რომ ცოტა ხნის მანძილზე სენსაციის სუნი დაატრიალეს, შემდეგ კი ის დაემართათ, რაც საქართველოს ნაკრებსა თუ გუნდებს ხშირად რომ ემართებათ.

გია ჭიაბრიშვილმა წინა მატჩისგან განსხვავებით სასტარტო შემადგენლობაში დაცვის ხაზი მნიშვნელოვნად გადაახალისა. გამოცდილი ფეხბურთელების, ედიკ საჯაიასა და ზაალ ელიავას ნაცვლად, ძირითადში ახალგაზრდებს, თორნიკე და თედორე გრიგალაშვილებს ანდო ადგილი. თორნიკემ მარჯვენა მცველის პოზიცია დაიჭირა, რის გამოც თემურ ღონღაძეს მარცხენა ფლანგზე მოუწია გადაბარგება, თედორემ კი, საჯაიას ადგილი დაიკავა და დაცვის შუაგულში კობახიძეს შეუწყვილდა.

ცვლილება შეეხო ნახევარდაცვასაც. აქ გამოცდილი თორნიკე აფციაურის ადგილი მარჯვენა ფლანგზე ლევან შარიქაძემ დაიკავა. ცენტრში საყრდენებად მენთეშაშვილი და გორგიაშვილი ირჯებოდნენ, მათ წინ კი, მუჯირი მოქმედებდა, ხოლო თავდასხმის ხაზში დვალი-ოვონიკოკოს დუეტი მოქმედებდა. ალბათ მიაქციეთ ყურადღება ერთ დეტალს – მარცხენა ფლანგი მთლიანად ჩაბარებული ჰქონდა ღონღაძეს, არადა, სწორედ იქ მოთამაშე ვობაია იყო „ნეფთჩიში“ საუკეთესო და პირველი გოლიც, რომელიც ბაქოელებმა იმერეთში გაიტანეს, სწორედ მარცხენა ფლანგიდან დასრულდა. მართალია, ჭიაბერაშვილს გუნდს შემტევი ფეხბურთი სჭირდებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს იყო ზესტაფონელთა მწვრთნელის ტაქტიკური შეცდომა.

მატჩი მაღალ ტემპში კი დაიწყო, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული ხიფათი არ იქმნებოდა. 10 წუთის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა – გუნდებმა უფრო სანახაობრივი თამაში გააჩაღეს.

მე-16 წუთზე, მასპინძლებმა პირველი კუთხურის ჩაწოდების უფლება მოიპოვეს, რომელიც გოლით დასრულდა. საჯარიმოში გორგიაშვილისა და ოვონიკოკოს აქტიურობის შედეგად, ბურთი საჯარიმოს ხაზთან მდგომ მუჯირს მიუვიდა, რომელმაც შეუჩერებლივ უძლიერესად დაარტყა და მეჰდიევსი უშანსოდ დატოვა – 1:0.

სწრაფმა გოლმა ფეროელებს ფრთები შეასხა და 3 წუთში კიდევ ერთი გოლის გატანა მოახერხეს. მოედნის სიღრმიდან მენთეშაშვილის პასის შემდეგ, მუჯირმა ქუსლით „ნეფთჩის“ მთელი დაცვა უსაქმოდ დატოვა და ბურთი მეკარესთან პირისპირ დარჩენილ ჯაბა დვალს მიუვიდა, რომელმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა – 2:0.

დიდებული დასაწყისი იყო. წესით მეტოქე შოკშიც კი უნდა აღმოჩენილიყო და თუ დაწოლა გაძლიერდებოდა ბაქოელებს განადგურება არ უნდა ასცდენოდათ, მაგრამ... „ზესტაფონმა“ თამაშის ტემპი დააგდო და კიდევ ერთი გოლის გატანას უკვე მეთოდური შეტევებით შეუდგა. 22-ე წუთზე ბაქოელთა სწრაფი შეტევა გოლით დასრულდა – ბაქოელთა მარცხენა მცველმა ბერტუჩიმ სისწრაფის ხარჯზე ჩამოიშორა მცველები და მასპინძელთა საჯარიმოში პასი გააკეთა, იქ კი კობახიძის გარდა არავინ იყო, მანაც ბურთი გაატარა, რომელიც მარჯვენა ფლანგზე მყოფ ვობაის მიუვიდა. წესით მასთან ღონღაძე უნდა მდგარიყო, მაგრამ უკან ჩამოსვლა ვერ მოასწრო და „ნეფთჩის“ შემტევი სრულიად დაუცველი აღმოჩნდა, რომელმაც მოჭრილი დარტყმით ბურთი მასპინძელთა კარის „ცხრიანში“ გაგზავნა – 2:1.

ამ გოლმა „ზესტაფონის“ საქმე ძალიან გაართულა. მართალია წინ დიდი დრო იყო, მაგრამ მარგველებს ისევ სამი ბურთის გატანა სჭირდებოდათ. გატანილმა გოლმა კი სტუმრები დაამშვიდა – აზერბაიჯანელი ფეხბურთელები უკეთ ათამაშდნენ, ბურთის დაჭერა მოახერხეს და თითქმის ტაიმის ბოლომდე სათამაშო ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ. იმამვერდიევმა და ფლავიომ როინ კვასხვაძის კართან ხიფათიც შექმნეს. ზესტაფონელებს რამდენჯერმე ჰქონდათ სწრაფი შეტევის წამოწყების მცდელობაც, მაგრამ ხეირიანი არაფერი გამოუვიდათ.

მე-2 ტაიმის დასაწყისშივე მასპინძლებს ორბურთიანი ფორის აღდგენა შეეძლოთ – დავით მუჯირის შესრულებული საჯარიმო ხარიხამ აისხლიტა. ვერ ვიტყვით, რომ გოლის გასვლის შემთხვევაში ზესტაფონელთათვის რამე სასიკეთოდ შეიცვლებოდა, მაგრამ ფაქტია, მატჩს მეტი ინტრიგა შეემატებოდა. ეს ინტრიგა კი 50-ე წუთზე საბოლოოდ მოკვდა – იმამვერდიევმა მცველებს ბურთი გაუგდო და მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ღონღაძემ წააქცია და მსაჯმაც პენალტი დანიშნა. თერთმეტი მეტრიდან კი, სადიგოვმა ზუსტად ისე დაარტყა, როგორც პირლომ ევროპის ჩემპიონატზე ინგლისელთა წინააღმდეგ – 2:2.

საქართველოს ჩემპიონებს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად 4 უპასუხო გოლი სჭირდებოდათ. გია ჭიაბრიშვილმა ცვლილებებსაც მიმართა და შეტევის გაძლიერებაც სცადა, მაგრამ ფაქტი იყო, „ზესტაფონს“ მიზნის მიღწევა აღარ შეეძლო.

თამაშის ეპილოგში რამდენჯერმე დვალმა, მუჯირმა და თორნიკე გრიგალაშვილმა სცადეს თამაშის გამწვავება, მაგრამ რეალური ხიფათი რაუფ მეჰდიევის კართან არ შექმნილა. საგოლე მომენტების შესაქმნელად, თავი არც აზერბაიჯანელებს გამოუდიათ. დროის დასკვნით ნაწილში მოწინააღმდეგენი ყაზახი არბიტრის საფინალო სასტვენს უფრო ელოდნენ, ვიდრე სათამაშო სცენარის შეცვლას ცდილობდნენ.

## მატჩის შემდეგ

**თარლან ახმედოვი, ნეფთჩის მთავარი მწვრთნელის თანაშემწე:**

– თავიდანვე ვამბობდი, რომ ზესტაფონში მძიმე მატჩი გველოდა. გარკვეულწილად, მნიშვნელობა არ ჰქონდა პირველი მატჩის შედეგს. საქმე საქართველოს ჩემპიონთან გვქონდა, რომელმაც ბევრი პრობლემა შეგვიქმნა. საბედნიეროდ, ჩვენ შევძელით შემდეგ ეტაპზე გასვლა. მთავარი შედეგია და ჩვენ ამას მივაღწიეთ.

***– ელოდით მეტოქისგან ასეთ თამაშს?***

– ვიცოდი, რომ „ზესტაფონი“ კარგი, საკმაოდ გამოცდილი გუნდი იყო. ჩვენ ნანახი გვქონდა მისი შარშანდელი თამაშები, სადაც ქართულმა კლუბმა ტოლი არ დაუდო სახელოვან




ევროპულ კლუბებს. ასე რომ, მათი ასეთი თამაში მოულოდნელი არ ყოფილა. საწყის 25 წუთში ქართველებს ყველაფერი გამოსდიოდათ, ჩვენ კი არეულები ვიყავით. საბედნიეროდ, მოვახერხეთ დალაგება და შესაბამისად თამაშის გადარჩენა.

***– ორბურთიანი ჩამორჩენის შემდეგ, გქონდათ თუ არა ამ მატჩის გადარჩენის იმედი?***

– იმ მწვრთნელს რა ვუთხარი, რომელსაც თავისი გუნდის არ ეიმედება. რა თქმა უნდა, მქონდა რწმენა იმისა, რომ ბიჭები თავის თამაშს იპოვიდნენ. დღეს ამასთანავე დავამტკიცეთ, რომ გუნდური ფეხბურთის თამაშიც შეგვიძლია. დღეს მატჩის ბედი არა ფეხბურთელებმა, არამედ გუნდმა გადაწყვიტა.

***– ლეგიონერების თამაშით თუ ხართ კმაყოფილი?***

– ჩვენ 5-6 ახალი ფეხბურთელი დავიმატეთ, რომლებიც ყოველდღიურად პროგრესირებენ და კლუბისთვის სასარგებლონი ხდებიან. დარწმუნებული ვარ, ეს ტენდენცია გაგრძელდება.

***– თქვენი მომავალი მეტოქე ისრაელის „ირონია“. რას გვეტყვით მომავალ დაპირისპირებაზე?***

– ამ მომენტისათვის ვერაფერს. ისე მაქსიმალურად მობილიზებულნი უნდა შევხვდეთ ამ პაექრობას. განვიხილავთ და გავეცნობით ებრაული გუნდის სუსტ და ძლიერ მხარეებს. ისე, ამ გუნდის სიძლიერეზე მეტყველებს ის, რომ საკმაოდ ძლიერი სლოვაკური კლუბი – „ჟილინა“ გამოთიშეს ასპარეზობას.

***– დღეს გუნდს ყველაზე მეტი შეცდომები დაცვის მარჯვენა ფლანგზე მოსდიოდა, რაიმე კორექტირებას ხომ არ აპირებთ მომავალ თამაშებში?***

– ახალი ფეხბურთელების დამატებას არ ვაპირებთ. ისე მე ასე არ ვფიქრობ, მარჯვენა ფლანგი მთლიანობაში ნორმალურად გამოიყურებოდა. ერთ-ერთმა ფსიქოლოგმა, რომელიც ვალერი ლობანოვსკისთან კიევში მუშაობდა, განაცხადა, რომ როდესაც გუნდი აგებს, მაშინ მისი სულისკვეთება სათანადო აღარ არის, ამისთვის კი, მზად უნდა იყო და მალე შეძლო მდგომარეობიდან გამოსვლა. დღეს ვაგებდით და შეიძლება არასასურველად მოგეჩვენათ იმ მომენტში ერთი, კონკრეტული რგოლის თამაში, მაგრამ მალე გუნდმა საკუთარი ხელწერა აჩვენა.

**გია ჭიაბრიშვილი, ზესტაფონის მთავარი მწვრთნელი:**

– დღეს შემიძლია იმის თქმა, რომ ორმატჩიან დუელში ბაქოს „ნეფთჩიმ“ გვაჯობა. ვულოცავ მეტოქეს შემდეგ ეტაპზე გასვლას. შეიძლებოდა ამ პაექრობებს უკეთესადაც შევხვედროდით, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ვერ შევძელით.

***– რას იტყვით, „ნეფთჩიმ“ ინდივიდუალური თამაშის ხარჯზე აჯობა „ზესტაფონს“ თუ გუნდური თამაშის?***

– მე ასე ცალ-ცალკე არ დავყოფდი ამას. ორმატჩიან პაექრობებში ბაქოურმა გუნდმა უკეთ გამოავლინა საკუთარი შესაძლებლობები. ეს, რასაკვირველია, კარგ გუნდურ თამაშს და ინდივიდუალურ გამოსვლასაც გულისხმობს.

***– გუნდის მომავალი და თქვენი მომავალი ამ გუნდში როგორ წარმოგიდგენიათ?***

– ვაპირებთ ახალი გუნდის აშენებას. მოხდება განახლება და ამ ყველაფერში მეც მონაწილეობას მივიღებ. თუ ჩემი წასვლა გუნდს გააძლიერებს, მზად ვარ ეს ნაბიჯი დაუფიქრებლად გადავდგა, თუმცა, ეს საკითხი ჯერჯერობით მხოლოდ თქვენ გაღელვებთ და უკვე მეორედ მკითხეთ (კითხვის ავტორი ერთ-ერთი აზერბაიჯანელი ჟურნალისტი იყო).

***– „ნეფთჩი“ კარგად გყავდათ შესწავლილი, მისი სუსტი მხარეებით. მაინც რა რგოლში იყო თქვენი მეტოქე ძალიან სუსტი?***

– ისე რომ გვყოლოდა შესწავლილი, როგორც თქვენ ამბობთ, მაშინ შემდეგ ეტაპზე ჩვენ გავიდოდით. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობდით შეტევაში თამაში გაგვეუმჯობესებინა, მაგრამ სასურველ დონეს ვერ მივაღწიეთ.

***– თქვენი კლუბის პრეზიდენტმა აზერბაიჯანულ პრესასთან მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ შეცდომა დაუშვა, როდესაც ლეგიონერებზე უარი თქვა, თქვენ რას გვეტყოდით?***

– მე ამ კლუბში მუშაობისას მაქვს ის კომფორტი, რომ ჩემს მუშაობაში არავინ ერევა. ჩვენი კლუბის პრეზიდენტი არასდროს ჩარეულა სატრანსფერო საქმეებში, ვგულისხმობ ფეხბურთელების მოწვევას და კლუბში თამაშს. უბრალოდ მჯეროდა, რომ ამ ეტაპზე შეგვეძლო ლეგიონერების გარეშეც გავსულიყავით ფონს. ამან არ გაამართლა, როგორც ჩანს, ვერ გავთვალე სწორად, თორემ მე რომ მეთხოვა ბ-ნ ილიასათვის ლეგიონერების მოწვევა, დარწმუნებული ვარ, არანაირი პრობლემა არ შემექმნებოდა.

***– ვინ მოგეწონათ ყველაზე მეტად „ნეფთჩიში“ და თქვენი ნება რომ იყოს, რომელ ორ ფეხბურთელს დაიმატებდით ჩვენი გუნდიდან?***

– ცალსახად ამაზე პასუხს ვერ მოგცემთ, რადგან არ მიფიქრია, მაგრამ ამ თამაშებში ყველაზე გამორჩეულები და ეფექტურები ვობაი და იმამვერდიევი იყვნენ.

***– თქვენ შარშან „ბრიუგეს“ ეთამაშეთ, თუ შეგიძლიათ ბელგიურ კლუბს „ნეფთჩი“ შეადაროთ?***

– არ ვიცი, ეს პასუხი მოგეწონებათ თუ არა, მაგრამ ასეთი შედარების გაკეთება არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. „ბრიუგე“ ყველა რგოლში მაღალი კლასის ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული, რომლებიც საოცარ სისწრაფეებს ავითარებენ. „ნეფთჩი“ კარგი გუნდია, მაგრამ შარშანდელ „ბრიუგესთან“ შედარება არ შეიძლება.

# ბრუკლინმა“ თორნიკე შენგელიასთან კონტრაქტის გაფორმება ოფიციალურად გამოაცხადა

თორნიკე შენგელიამ „ბრუკლინ ნეთსთან“ კონტრაქტი გააფორმა. ეს ამბავი, რომელიც ჩვენ 1 კვირის წინ გადაწყვეტილად ვიცოდით, კლუბმა ოფიციალურად ახლა გამოაცხადა. ინფორმაცია ბრუკლინელთა ოფიციალურ საიტზე გავრცელდა, რომელიც უმალ გადაიტანა ერთ-ერთმა ყველაზე მსხვილმა სპორტულმა პორტალმა იაჰუმაც.

– თოკომ ძალიან კარგად ითამაშა საზაფხულო ლიგაზე, რამაც მასთან კონტრაქტის გაფორმება გადაგვაწყვეტინა, – ასე მოკლედ და კონკრეტულად განმარტავს ქართველის გუნდში აყვანას „ბრუკლინ ნეთსის“ გენერალური მენეჯერი ბილი კინგი.

კონტრაქტის პირობები და ღირებულება არ ხმაურდება. არც ისაა დაკონკრეტებული, ბელგიურ „შარლერუასთან“ შენგელიას მოქმედ კონტრაქტს კალათბურთელი თავისი ხელფასიდან გამოისყიდის თუ კომპენსაციას ბრუკლინული კლუბი აანაზღაურებს.

შეგახსენებთ, რომ შენგელია დრაფტზე 54-ე ნომრად „ფილადელფიამ“ აიყვანა, მაგრამ რამდენიმე წუთში ის „ბრუკლინს“ დაუთმო. ქართველმა ფორვარდმა ორლანდოს საზაფხულო ლიგაზე ბრუკლინელთა გუნდში ითამაშა და საშუალოდ მოედანზე გატარებულ 21 წუთში 10.2 ქულას სროლათა 53 პროცენტიანი სიზუსტით აგდებდა. შენგელია დღე-დღეზე საქართველოს ეროვნულ ნაკრებს



შეუერთდება და მზადებას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის განაგრძობს.

# ევრო-2016: სტადიონები ცნობილია, ფორმატი დასამტკიცებელი

ყველასთვის ცნობილი ფაქტია, რომ ევრო-2016 ახალი ფორმატით ჩატარდება და ფინალურ ეტაპზე 24 გუნდი ითამაშებს. შესარჩევის ფორმატიც ცნობილია და გამარტივებულია საშუალო დონის გუნდებისთვის: 52 ნაკრები 9 ჯგუფში განაწილდება (2 ხუთგუნდიანი და 7 ექვსგუნდიანი), პირველ-მეორეადგილოსნები პირდაპირ მოიპოვებენ საფრანგეთის საგზურს, ხოლო მათ კიდევ 5 მესამეადგილოსანი დაემატებათ. საუკეთესო მესამეადგილოსანი პირდაპირ გავა, ხოლო დანარჩენი 8 გუნდი ფლეი ოფში ითამაშებს.

შესარჩევის ჯგუფების კენჭისყრა, სავარაუდოდ, 2013 წლის ნოემბერში გაიმართება და გუნდები კალათებში იმდროინდელი რეიტინგის მიხედვით გადანაწილდებიან. შესარჩევი ციკლი 2014 წლის სექტემბერში დაიწყება და 2015 წლის ნოემბერში დასრულდება.

ჯერჯერობით, არაა დამტკიცებული ფინალური ეტაპის ფორმატი, მაგრამ სავარაუდოდ, ზუსტად ისეთი იქნება, როგორც 1986, 1990 და 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატებზე იყო. ანუ, 24 გუნდი 6 ჯგუფში გადანაწილდება, პირველ-მეორეადგილოსნები და 4 საუკეთესო მესამეადგილოსანი გავა მერვედფინალში.

მართალია, ამ ფორმატს უეფაში მოწინააღმდეგეებიც ჰყავს, რადგან ეჭვობენ, რომ ჯგუფის ბოლო ტურში, შესაძლოა, გარიგებები მოხდეს, მაგრამ ჯერჯერობით, მაინც ეს ფორმატია ძალაში.

ჩემპიონატი 11 ივნისს დაიწყება და 3 ივლისს დასრულდება.

სამაგიეროდ ცნობილია ის ფრანგული 10 სტადიონი, სადაც გაიმართება თამაშები:

1.პარიზი, „სენ დენი“ (81.338 მაყურებელი, უმასპინძლებს ფინალურ მატჩს); 2.პარიზი, „პარკ დე პრენსი“ (51.430); 3.მარსელი, „ველოდრომი“ (67.170); 4.ლიონი, „სტად ჟერლანი“ (61.556); 5.ლილი, „ვილნიოვ დასკი“ (50.186); 6.ლანსი, „ფელიქს ბოლარი“ (45.423); 7.ბორდო, „სტად ნიუ ბორდო“ (42.566); 8.სენტ-ეტიენი, „ჟოფრუა გიშარი“ (42.107); 9.ტულუზა, „სტად მუნისიპალი“ (40.000); 10.ნიცა, „გრან სტად ნიცა“ (35.210).

## შედეგები

### ფეხბურთი

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| შახტიორი(ყ)–ლიბერეცი | 1:0(0:1დდ) |
| ვენტსპილსი–მიოლდე | 1:1 |
| ზალცბურგი–დუდელანჟი | 4:3 |
| ჰაპოელი–ჟილინა | 2:0 |
| ზესტაფონი–ნეფთჩი | 2:2 |
| შერიფი–ულისე | 1:0 |
| ეკრანასი–შემროკი | 2:1 |
| ბაზელი–ფლორა | 3:0 |
| დებრეცენი–შკენდერბუ | 3:0 |
| პარტიზანი–ვალეტა | 3:1 |
| ჟელეზნიჩარი–მარიბორი | 1:2 |
| რეიკიავიკი–ჰიკი | 1:2 |

### კალათბურთი

**ამხანაგური მატჩები**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ბულგარეთი–თურქეთი | 65:70 |
| ლიტვა–ისლანდია | 101:51 |
| პოლონეთი–უკრაინა | 61:81 |
| ესპანეთი–აშშ | 78:100 |

### ჩოგბურთი

**აცპ. ლოს ანჯელესი. ჰაlდი**

| | |
|---|---|
| კამკე–ბლეიკი | 6:2;5:7;7:6 |
| მატოსევიჩი–გუჩიონი | 3:6;6:3;6:3 |
| სისლინგი–ჯონსონი | 7:6;6:3 |
| ბერანკისი–ფაუ | 7:6;6:4 |

**ვტა. ბაქო. ჰაlდი**

| | |
|---|---|
| რიბარიკოვა–ტანასუგარნი | 6:1;6:0 |
| პანოვა–ზანევსკა | 4:6;7:6;6:3 |
| იოვანოვსკი–სოლოვიოვა | 6:2;6:3 |
| კრუნიჩი–პოუს ტიო | 7:6;6:3 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# პუტინს პარანოიდულად ეშინია მოწამვლის

საუკეთესო შეფ მზარეულების ელიტური კლუბის დამფუძნებელმა ჟილ ბრაგარმა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხელმძღვანელებისათვის, მათ შორის, რუსეთის პრეზიდენტისათვისაც ამზადებდა კერძებს, განაცხადა, რომ ვლადიმირ პუტინს პარანოიდულად ეშინია მოწამვლისა და ამის გამო კვალიფიციური დეგუსტატორები, მზარეული და ექიმი, სისტემატურად ამოწმებენ მის კერძებს.

ამ განცხადებით ბრაგარი პარიზში გამართული ერთ-ერთი ლონისძიების დროს გამოვიდა.

— დეგუსტატორები სხვაგანაც არსებობენ, მაგრამ კრემლში მზარეულებთან ერთად კერძებს ექიმიც ამოწმებს, — განაცხადა ჟან ბრაგარმა. როგორც ამბობენ, რუსეთში კერძებს საბჭოთა ლიდერის, იოსეფ სტალინის დროსაც ამოწმებდნენ, რომელსაც ასევე პარანოიდულად ეშინოდა მოწამვლის.

ისიც უნდა ითქვას, რომ სუფრაზე მირთმეული კერძების უსაფრთხოებაზე სხვა ლიდერებიც ზრუნავდნენ. თავის დროზე აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა უმცროსმა ლონდონში ვიზიტის დროს კერძების შემოწმება გფბ-ის ყოფილ აგენტებს დაავალა.



ცოტა ხნის წინ შეფ მზარეულთა კლუბის წევრები ელისეს სასახლეში, საფრანგეთის პრეზიდენტთან მიიწვიეს.

„თქვენი პროფესია დიდ ძალისხმევას მოითხოვს, — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა მზარეულთა კლუბის წევრებთან შეხვედრის დროს, — ამასთან, საერთაშორისო ურთიერთობებისათვის მას დიდი მნიშვნელობა აქვს. ხშირად მოლაპარაკებების შედეგი ნაწილობრივ იმაზეც არის დამოკიდებული, მოეწონათ თუ არა კერძები თქვენს სტუმრებს“.

მზარეულთა კლუბი 1977 წლიდან არსებობს და მასში 25 ქვეყნის წარმომადგენლები არიან გაერთიანებული. კლუბის წევრებმა თავიანთი ქვეყნის ლიდერების საყვარელი კერძების შესახებ ისაუბრეს. როგორც გაირკვა, აშშ-ის პრეზიდენტის მზარეულს ყველაზე ხშირად ბლინების დამზადება უხდება, დიდი ბრიტანეთის დედოფალი ხმელთაშუა ზღვის სამზარეულოს კერძებს ანიჭებს უპირატესობას, მაროკოს პრინცს თევზი უყვარს სოკოთი, ხოლო ისრაელის ლიდერს მაროკოს სამზარეულოს კერძები.

# 11 წლის უბილეთო მგზავრი მანჩესტერიდან რომში ჩაფრინდა

ბრიტანელმა მოზარდმა ბილეთისა და თვითმფრინავში ჩასაჯდომი ტალონის გარეშე მანჩესტერიდან რომში გამგზავრება მოახერხა. ეს შემთხვევა სამშაბათს მოხდა მანჩესტერის აეროპორტში. ბავშვმა სხვა მგზავრებთან ერთად მოახერხა თვითმფრინავში ასვლა.

ბრიტანული ავიაკომპანია „ჯეთ თუ დოთ ქომის“ მგზავრებმა ბავშვი მხოლოდ თვითმფრინავის ჰაერში აფრენის შემდეგ შეამჩნიეს.

მანჩესტერის აეროპორტის პრესსამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ავიაკომპანიის რამდენიმე თანამშრომელი დროებით დაითხოვეს.

ბრიტანეთის ტრანსპორტის მინისტრმა ამ შემთხვევას უკიდურესად შემაშფოთებელი უწოდა.

აეროპორტის წარმომადგენლების თქმით, ბავშვმა ყველა საკონტროლო პუნქტი დაუბრკოლებლად გადალახა და საბუთები ერთხელაც არ შეუმოწმეს.

შემდეგ ბავშვი რომის რეისის თვითმფრინავზე ავიდა, სადაც თვითმფრინავში მგზავრების დათვლის დროს იგი ასევე ვერავინ შეამჩნია.

აეროპორტის წარმომადგენლების თქმით, დოკუმენტების გარდა ბავშვმა სრული შემოწმება გაიარა და ინციდენტის მიუხედავად, თვითმფრინავის და მგზავრების უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იყო.

ბრიტანეთის ტრანსპორტის მინისტრის, ჯასტინ გრინინგის თქმით, დაწყებულია ამ ინციდენტის სრულმასშტაბოვანი გამოძიება, ხოლო ბავშვი უკვე ოჯახს დაუბრუნდა.

როგორც გაირკვა, იგი შინიდან გაიპარა და აეროპორტს მიაშურა. იტალიაში დაშვების შემდეგ ბავშვი თვითმფრინავში დატოვეს და იმავე საღამოს მანჩესტერში ჩაიყვანეს.

# გრენლანდიის ყინულები არნახული სისწრაფით დნება

ამერიკის კოსმოსური სააგენტოს, ნასას სპეციალისტების თქმით, მიმდინარე წლის ივლისში გრენლანდიის მყინვარების დნობის ფართობმა წინა წლების მაჩვენებელს ორჯერ გადააჭარბა.



მეცნიერების თქმით, ეს მოვლენა უპრეცედენტოა გრენლანდიისათვის და მსგავსი რამ მყინვარებზე დნობის თანამგზავრული დაკვირვების 30 წლიანი ისტორიის განმავლობაში არასდროს შეუმჩნევიათ.

ყინულის დნობა აღინიშნა აგრეთვე გრენლანდიის ყველაზე მაღალ წერტილში, „სამიტის“ კვლევით სადგურზე. ეს სადგური გრენლანდიის ყველაზე ცივ ადგილად არის მიჩნეული. უკანასკნელად აქ ყინულის დნობა 1889 წელს დაფიქსირდა.

სპეციალისტების თქმით, ყინულის დნობის ფართობმა 8 ივლისის შემდეგ ოთხი დღის განმავლობაში გრენლანდიის მყინვარების საერთო ფართობის 40%-დან 97% მოიცვა.

ზაფხულის განმავლობაში გრენლანდიაში, როგორც წესი, ყინული მყინვარის ფართობის დაახლოებით ნახევარზე დნება, მაგრამ მიმდინარე მასშტაბების შემყურე მეცნიერები საგანგებო ვითარების შესახებ ალაპარაკდნენ.

ნასას სპეციალისტების თქმით, მყინვარების დნობის ესა თუ ის ნიშანი კუნძულის მთელს ტერიტორიაზე აღინიშნება, სანაპიროდან დაწყებული კუნძულის ცენტრით დამთავრებული, სადაც მყინვარის სისქე სამ კილომეტრს აღწევს.

მეცნიერების თქმით, მათ არ შეუძლიათ დანამდვილებით თქვან, თუ რა არის მყინვარების ინტენსიური დნობის მიზეზი და არის თუ არა იგი ადამიანის საქმიანობასთან დაკავშირებული.

ამ ინფორმაციის გავრცელებამდე მცირე ხნით ადრე, ნასამ გამოაქვეყნა თანამგზავრული სურათები, სადაც ჩანს, თუ როგორ ჩამოტყდა გრენლანდიის მყინვარებს კუნძულ მანჰეტენის ზომის აისბერგი.

# ლონდონში დიფ ფარფლის“ მუსიკოსი გარდაიცვალა

ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში 72 წლის ასაკში გარდაიცვალა ანსამბლ „დიფ ფარფლის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, მუსიკოსი ჯონ ლორდი.

მუსიკოსი 16 ივლისს ფილტვის ემბოლიის შედეგად გარდაიცვალა. მისი ოჯახის წევრების თქმით, მას კუჭქვეშა ჯირკვლის კიბო ჰქონდა.




ჯონ ლორდის სრული სახელია ჯონათან დაგლას ლორდი. ანსამბლი „დიფ ფარფლი“ მან 1968 წელს დააარსა. ეს ანსამბლი კლასიკური ჰარდ-როკის მიმართულების ერთ-ერთ ფუძემდებლად მოგვევლინა, გარდა ამისა, დიდი ზეგავლენა იქონია „მძიმე მეტალის“ განვითარებაზე.

ლორდი ანსამბლის ერთ-ერთი ლიდერი და თითქმის ყველა მუსიკალური კომპოზიციის თანაავტორი იყო.

1978-დან 1984 წლამდე, როდესაც „დიფ ფარფლმა“ დროებით შეწყვიტა გამოსვლები, ლორდი ანსამბლ „უაითსნეიქტან“ თანამშრომლობდა, გარდა ამისა, ჯორჯ ჰარისონის, ქოზი პაუელისა და დევიდ გილმორის ალბომების ჩაწერაში იღებდა მონაწილეობას.

„დიფ ფარფლის“ აღორძინების შემდეგ ლორდი ჯგუფს დაუბრუნდა და 2002 წლამდე ანსამბლში მოღვაწეობდა.

„დიფ ფარფლის“ საბოლოოდ დატოვების შემდეგ ჯონ ლორდი სოლო შემოქმედებას ეწეოდა და უპირატესობას კლასიკურ მუსიკას ანიჭებდა.

**მოამზადა გენადი თვაურძა**

# ტაჯიკეთში ცეცხლის დროებითი შეწყვეტის შესახებ გამოცხადდა

ტაჯიკეთში, სადაც 24 ივლისს მასშტაბური სპეცოპერაცია დაიწყო, ცეცხლის დროებითი შეწყვეტის შესახებ გამოცხადდა.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ ორივე დაპირისპირებული მხარე შეთანხმდა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ადგილობრივი დროით 14:00 საათამდე იმოქმედებს.



ამ დროისთვის ხელისუფლებისა და ბანდფორმირებების წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

ტაჯიკეთის ხელისუფლება სპეცსამსახურის გენერლის აბდულო ნაზაროვის მკვლელობაში ეჭვმიტანილი 4 ადამიანის გადაცემას მოითხოვს. გარდა ამისა, „ბოევიკებს“ იარაღის ჩაბარებას სთავაზობს და მათ, ვინც ამას გააკეთებს, ამნისტიას ჰპირდებიან.

ქალაქ ხოროგში მასშტაბური სპეცოპერაცია 24 ივლისს დილით დაიწყო. გავრცელებული ინფორმაციით, მასში დაახლოებით 3 ათასი სამხედრო მოსამსახურე და ძალოვანი უწყების წარმომადგენელი მონაწილეობს.

ოფიციალური მონაცემებით, სპეცოპერაციაში ასევე ჯავშანტექნიკა და ვერტმფრენები მონაწილეობენ. სროლების შედეგად მოკლულია 30 „ბოევიკი“, 40 კი დაკავებულია. ამოღებულია დაახლოებით 100 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი. სამთავრობო ძალების მხრიდან მოკლულია 12 და დაჭრილია 23 ადამიანი.

არაოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი სპეცოპერაციის შედეგად მოკლულია დაახლოებით 100 სამხედრო მოსამსახურე და ამდენივე მშვიდობიანი მცხოვრები. „ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, ამ ცნობის გადამოწმება ვერ ხერხდება, ვინაიდან კავშირი რეგიონთან გაწყვეტილია.

გარდა ამისა, ადგილობრივი ოპოზიცია იუწყებოდა, რომ გუშინ ქალაქი დაიბომბა.

ტაჯიკეთის პრეზიდენტმა ემომალი რაჰმონმა სამთო-ბადახშანის ავტონომიური ოლქის თავმჯდომარე კოდირ კოსიმთან სატელეფონო საუბრის დროს მას პამირზე სამხედრო ოპერაციის შეწყვეტა მოსთხოვა. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

ასევე „ბი-ბი-სის“ რუსული რედაქციის ცნობით, გენერლის მკვლელობაში დამნაშავე უკანონო შეიარაღებული დაჯგუფება „იშკაშიმი“ და სასაზღვრო ძალების ყოფილი სარდალი გენერალი ტოლიბეკ აიემბეკოვია. აიემბეკოვმა უარი განაცხადა დანებებაზე და სამთავრობო ძალებს შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## hჰxცჲxჰლბ ,

**შვეულად:** 1. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 2. მე-18-19 საუკუნეების ცნობილი ფრანგი დიპლომატი, სახელმწიფო მოღვაწე; 3. რაიმე დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა; 4. სწრაფმავალი, მოტორიანი სპორტული ნავი; 5. მდინარე ტოკიოში; 9. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 11. ძვირფასი თვლებით შემკული ქალის გვირგვინი; 12. დაღესტნის მკვიდრი მოსახლეობა; 14. რაიონული ცენტრი იმერეთში; 18. ომის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 19. კუნძული წყნარ ოკეანეში, სადაც განთავსებულია ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზა.

**თარაზულად:** 4. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი; 5. ჩინური ფაიფური; 6. ოპერა „რიგოლეტოს“ პერსონაჟი; 7. ხელოვნურად გამომშრალი და ფხვნილად ქცეული ფეკალური მასისგან მიღებული ორგანული სასუქი; 8. ერთი მსახიობის თეატრი თბილისში; 10. პატარძლის მეჯვარე ქორწილში; 13. მოთელილი მატყლის თბილი მოსასხამი; 15. აეროპორტი პრაღაში; 16. ჭამის სურვილი; 17. ტბა გაგრის მახლობლად; 20. მდინარე ყვარელში; 21. ამერიკული საიუველირო ფირმა; 22. კუთხე საქართველოში; 23. დედამიწის თანამგზავრი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



**ობყფ ყxვცჰიბ უფვxმჲც.ყც,ეჯბ hჰxცჲxჰლც,ბც გფცე[ც,ბ5**

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. სუში; 2. ფუქსი; 3. სმალტა; 5. პერიე; 6. ბახთიარი; 8 გრენლანდია; 10. ევკომია; 12. ხილნარი; 14. უზანგი; 15. ვიდიჩი; 16. ბრასი.

**თარაზულად**: 1. სტროფი; 4. აპლომბი; 7. მიქავა; 9. ჩოხელი; 11. მეეზოვე; 12. ხეჭეჭური; 13. პოპოლო; 17. კოზაკი; 18. იდეა; 19. კრიმინალი; 20. ტარიბანა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. დონბასი; 2. კოკოშკოვი; 3. რეცენზია; 4. სტაფილო; 5. ამპერი; 9. სპაზმი; 11. ჩარტერი; 12. ფილტრი; 14. კეპლერი; 18. იტილი; 19. ხარკი.

**თარაზულად**: 4. სულორი; 5. აერობუსი; 6. კელია; 7. ტარაბუა; 8. კონუსი; 10. ქერჩი; 13. საკურა; 15. კატარი; 16. იუტა; 17. დოლი; 20. ლოკალი; 21. ტიბეტი; 22. პოლგარი; 23. კიტელი.

# ევროსაბჭო რუსეთში ადამიანის უფლებათა დარღვევების გამო შეშფოთებას გამოთქვამს

ევროსაბჭო რუსეთში ადამიანის უფლებათა დარღვევების გამო შეშფოთებას გამოთქვამს.

ამის შესახებ ევროსაბჭოს კომუნიკეშია აღნიშნული, რომელიც ორგანიზაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

— ევროსაბჭო გმობს რუსეთში ადამიანის უფლებადამცველებზე მომხდარ ზეწოლას და ჟურნალისტების, ასევე სამოქალაქო აქტივისტების ანგარიშსწორების ფაქტების გამოუძიებლობის გამო შეშფოთებას გამოთქვამს. ამასთან, გახმაურებული მკვლელობის გამოძიების შესახებ რუსეთის მთავრობამ საზოგადოებას დამატებითი განმარტებები უნდა მისცეს, — ნათქვამია კომუნიკეში.

ევროპის საბჭო შედგება ევროპის 47 სახელმწიფოსგან. მისი მიზნებია: 1) ადამიანის უფლებების, პლურალისტური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვა; 2) ევროპის კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცოდნის ამაღლება, ევროპული კულტურის განვითარება; 3) ევროპული საზოგადოების წინაშე მდგარ პრობლემათა გადაწყვეტის გზების ძიება (უმცირესობათა დისკრიმინაცია, ქსენოფობია, შეუწყნარებლობა, გარემოს დაცვა, კლონირება, შიდსი, ნარკოტიკები, ორგანიზებული დანაშაული და სხვა).

შეიქმნა 1949 წლის 5 მაისს ლონდონში დასავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს მიერ (ბელგია, დანია, გაერთიანებული სამეფო, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, საფრანგეთი და შვედეთი).

# ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლჭ,ჭ,ბ



მეუღლე ეთერი, შვილები შალვა, დავით და ლევან კერესელიძეები, დედმამიშვილები თერმი, ნუნუ და იოსებ კერესელიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზურაბ შალვას ძე კერესელიძე**

პანაშვიდი: 26 ივლისს, 17 საათზე, ქ. თბილისი, თემქა, XI მიკრორაიონი, II კვარტალი, 31-ე კორპუსი, ბინა 39. 27 ივლისს, 17 საათზე, კასპის რაიონი, სოფელი კავთისხევი, ეზატი.

გამოსვენება: 28 ივლისს, 14 საათზე, კასპის რაიონი, სოფელ კავთისხევი, ეზატი.

---

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები თანაგრძნობას უცხადებენ შალვა, დავით და ლევან კერესელიძეებს მამის

**ზურაბ კერესელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

გურამ ტატიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ქართული მედიცინის ოქროს ხანის უკანასკნელი ბრწყინვალე წარმომადგენელი, უმშვენიერესი და ბრძენი ქალბატონი, აკადემიკოსი

**ნინო ალექსანდრეს ასული ჯავახიშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებს ჯავახიშვილებისა და კომახიძეების ოჯახებს.

---



**კლარა ანტონის ასული გვინჯია-უზარაშვილი**

ქართულ-აფხაზური ოჯახის სიმტკიცის, სიყვარულისა და სილამაზის განსახიერება იყო. სრულიად ახალგაზრდამ აფხაზეთისა და საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიიღო. ბედის უკუღმართობით სამი შვილის დამკარგავი დედა ოთარაანთ ქვრივის სიკერპით ელოდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებას და მეუღლისა და შვილების საფლავზე დაბრუნებას. მეოცე საუკუნის მიწურულის „მაჰაჯირობამ" ეს იმედიც გადაუწურა და სურვილი საგვარეულო საძვალეში მოხვედრისა საფლავში ჩაიტანა. უზენაესის განგებით მფარველ ანგელოზად გვყავდე ყველას, ამინ!

*შვილები, ნათესავები, მეგობრები*

---

აზრეთი ქარდავა ოჯახით იუწყება

**კლარა გვინჯია-უზარაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

რაჟდენ ქარდავა შვილებითა და შვილიშვილებით მწუხარებას გამოხატავს

**კლარა გვინჯია-უზარაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

---

აკად. გ.ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, გამოჩენილი მეცნიერი, პროფესორი, აკადემიკოსი

**ნინო ჯავახიშვილი**

თანაგრძნობას ვუცხადებთ ოჯახს და საქართველოს მთელ სამედიცინო საზოგადოებას.

**ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლჭ,ჭ,ბ ვბბქჭ,ფ .ჯდჭკლქჭ7 რდბჰბს უფჰლფ7 !@–ლფყ !& ცფფსფვლჭ8**

# ალექსანდრე ლუკაშენკო ლონდონის ოლიმპიადაზე არ დაუშვეს

ბელორუსიის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე დასწრებაზე უარი უთხრეს.



ამის შესახებ რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ალექსანდრე ჟუკოვმა „ტვიტერის" საკუთარ გვერდზე დაწერა.

მისივე თქმით, ლუკაშენკოსთვის აკრედიტაციაზე უარის თქმის გადაწყვეტილება ოლიმპიური თამაშების კომიტეტმა მიიღო.

აღნიშნულთან დაკავშირებით ოფიციალური მინსკის პოზიცია ჯერჯერობით უცნობია.

ადრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ ოლიმპიური თამაშები პოლიტიზებულია. ამავდროულად, მან ბელორუს სპორტსმენებს დაავალა, რაც შეიძლება მეტი მედალი მოიპოვონ. „ჩვენთვის მთავარია გამარჯვება და არა მონაწილეობა", — განაცხადა ლუკაშენკომ.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე ლუკაშენკო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტია.

ალექსანდრე გრიგოლის ძე ლუკაშენკო ბელორუსის პრეზიდენტია 1994 წლიდან. პოლიტიკაში მოსვლამდე ლუკაშენკო სამხედრო ოფიცერი, შემდეგ კი რამდენიმე საწარმოს დირექტორი იყო.

დაამთავრა მაგილევის პედაგოგიური ინსტიტუტი (1975 წ.). ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟი.

2010 წლის 19 დეკემბერს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა ხმების 79,65%-ით არჩეულ იქნა პრეზიდენტად მეოთხე ვადით. ეუთო-მ, აშშ-მ და ევროკავშირმა არ ცნეს არჩევნების შედეგები, საპირისპიროდ, დსთ-ის დამკვირვებლებმა ჩატარებული არჩევნები პოზიტიურად შეაფასეს.

# დასავლეთი სირიაში 300 000 ჯარისკაცს გაგზავნის

„დეილი ტელეგრაფის" ინფორმაციით, დასავლეთი ფიქრობს იმაზე, რომ სირიის შემდგომი კონფლიქტის თვიდან ასაცილებლად ქვეყანაში 300 000 ჯარისკაცი გაგზავნოს.

— ბრიტანელი ექსპერტები თვლიან, რომ სირიის კონფლიქტმა შესაძლებელია პროვოცირება გაუკეთოს ახალ კონფლიქტს მთელ ახლო აღმოსავლეთში. სწორედ ამიტომ საჭიროა სირიის ოკუპაცია. ნატოს კი სირიაში კონფლიქტის ჩასახშობად 300 000 კარისკაცი დასჭირდება, — აცხადებს „როიალ იუნაითედ სერვის ინსტიტუტი".




— არაბულ ქვეყნებში მომხდარი რევოლუციების ქვეყნებშივე შეკავება მოხდა შესაძლებელი, ამჯერად კი კონფლიქტმა შეიძლება სირიის საზღვრები დატოვოს და მთელ ახლო აღმოსავლეთს მოედოს. დასავლეთისთვის ამჯერად აქტუალური იქნება, ხელი შეუშალოს ახალი კონფლიქტის ესკალაციას რეგიონში, ვიდრე შეაჩეროს სირიის შიგნით ძალადობა, — წერს „დეილი ტელეგრაფი".

ამ დროს, ალეპოს ამბოხებულებს სირიის მთავრობის რამდენიმეათასიანი ჯარი უახლოვდება. ალეპოში ამბოხების ჩასახშობად ასადის მთავრობამ ქალაქისკენ ათასობით ჯარისკაცი გადაისროლა. კონტრშეტევა, ალეპოს გარდა, დამასკოშიც მიმდინარეობს. გავრცელებული ინფორმაციით, ოპერაციას სირიის პრეზიდენტის ბაშარ ალ-ასადის ძმა ხელმძღვანელობს.

სირიის დედაქალაქ დამასკოშიც და სიდიდით მეორე ქალაქ ალეპოშიც უკვე რამდენიმე დღეა ბრძოლები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მიმდინარეობს. კონფლიქტის გამწვავება კი სირიის მთავრობის მიერ უცხოური ინტერვენციის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენების მუქარას მოჰყვა.

თავისუფალი სირიის არმიის ხელმძღვანელ მალიქ კურდის განცხადებით, აჯანყებულებს აღარ ჰყოფნით ძალები, ტერიტორიები შეინარჩუნონ, ამიტომ ისინი პარტიზანულ ბრძოლაზე გადადიან.

— ოპერაციები ხან ერთ ადგილას, ხან მეორე ადგილას ჩატარდება მანამ, სანამ ასადის არმიას ძალა არ გამოეცლება.

დღეის მდგომარეობით, ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე ჩვენგანი აკონტროლებს კონკრეტულ ტერიტორიას ან ქალაქს. ის ხან ერთის, ხან მეორე მხარის ხელშია. ვტოვებთ, შემდეგ ისევ ჩვენს ხელში გადმოდის, სანამ აჯანყებულები მძიმე შეიარაღებას არ მიიღებენ, ჩვენ პარტიზანულ ტაქტიკაზე გადავდივართ, — განაცხადა კურდიმ.

— სირიის შეიარაღებული ოპოზიცია საკუთარ კონტროლს უქვემდებარებს სულ უფრო მეტ ტერიტორიას, რაც შესაძლებლობას იძლევა, შეიქმნას „უსაფრთხოების ზონები", — ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა.

კლინტონის განცხადებით, აშშ-მ გაზარდა თავისი ძალისხმევა სირიის ოპოზიციის დასახმარებლად და სირიაში ხელისუფლების გადაცემას გეგმავს.

ამავე დროს, კლინტონმა აღიშნა, რომ პრეზიდენტ ბასარ ასადისთვის „ჯერაც არ არის გვიანი", თავად დაიწყოს გარდამავალი პროცესი.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კი სირიას ქიმიური იარაღის გამოყენებისგან თავის შეკავებას ურჩევს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო სირიის ოფიციალური პირის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ გაკეთებული განცხადებიდან 24 საათის შემდეგ იუწყება, რომ მოსკოვში ამ განცხადებას „ყურადღება მიაპყრეს".

მოსკოვი საკუთარ განცხადებაში დამასკოს შეახსენებს, რომ სირია 1968 წელს შეუერთდა 1925 წლის ჟენევის კონვენციას, რომელიც სამხედრო მოქმედებების დროს ქიმიური ნივთიერებების გამოყენებას კრძალავს.

თავის მხრივ, ისრაელის უმაღლეს წრეებში სირიის ქიმიური იარაღის ლიკვიდაციის შესაძლებლობებზე მსჯელობენ. ამის შესახებ განცხადება ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა „სიენენთან" ინტერვიუში გააკეთა.

— საბოლოო ჯამში, ჩვენ მოგვიწევს ზომების მიღება, რათა ეს მუქარა გავანეიტრალოთ. იმ შემთხვევაში, თუ სირიაში ქაოსი იქნება, „ჰესბოლას" კი ხელში ჩაუვარდება ქიმიური იარაღი, აღარ ვლაპარაკობ სხვა ტერორისტულ ორგანიზაციებზე, ჩვენ ამას არ დავუშვებთ. ჩვენ გულხელდაკრეფილნი ვერ ვისხდებით და ვერ დაველოდებით, როგორ უვარდებათ ქიმიური იარაღი ხელში ჩვენს მტრებს, — აღნიშნა პერესმა.

თურქული ტელეარხის ცნობით, ვაჭრობასა და საბაჟო საქმეებში თურქეთის მინისტრმა ჰაიატ იაზიჯიმ გუშინ განაცხადა, რომ სირიის საზღვართან ყველა საკონტროლო-გამშვებ პუნქტს დახურავდნენ.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ სირიის ოპოზიცია თურქეთის საზღვართან მსხვილ სასაზღვრო პუნქტს დაეუფლა, თუმცა მოგვიანებით ამბოხებულებმა პუნქტი დატოვეს.

გაეროს მონაცემებით, თურქეთში ამ დროისათვის 32 000 სირიელი ლტოლვილი იმყოფება. სირიასა და თურქეთს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, რაც სირიელმა სამხედროებმა თურქული გამანადგურებელი ეფ-4 „ფანტომი" ჩამოაგდეს. ამ ინციდენტის შემდეგ თურქეთმა საკუთარ საზღვართან საპასუხო ზომების მიღებისათვის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი განათავსა.

# რუსები ითხოვენ, ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეს რუსეთის სახელი ეწოდოს

ექსპერტული შეფასების ინსტიტუტის დირექტორ ნიკოლაი პავლიუკის განცხადებით, რუსი ექსპერტები ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანისთვის სახელის გადარქმევას ითხოვენ. ეს განპირობებულია იმით, რომ ოკეანის დიდი ნაწილი სწორედ რუსეთს ესაზღვრება.

— ჩრდილოეთ პოლუსზე რუსეთის ტერიტორიის ნაწილი ყველაზე დიდია — ის 5842 კილომეტრს შეადგენს, კანადის ხმელეთის ტერიტორია კი მხოლოდ 1430 კვადრატულ კილომეტრს მოიცავს. კუნძულებისა და არქიპელაგის უმეტესობა ძირითადად რუსეთის კუთვნილებაა: ფრანც იოსების მიწა, ახალი მიწა, ჩრდილოეთ მიწა, ნოვოსიბირსკის კუნძულები, ვრანგელის კუნძული და ა.შ. მხოლოდ ეს ჩამონათვალიც საკმარისია, რომ ოკეანეს სახელი შეეცვალოს, — აცხადებს პავლიუკი.

ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე, აგრეთვე არქტიკის ოკეანე, მდებარეობს ძირითადად ჩრდილოეთ პოლარულ რეგიონში, მსოფლიოს ხუთი ოკეანიდან კი უმცირესია სიდიდითა და სიღრმით. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაცია მას ოკეანედ ცნობს, ოკეანოგრაფები მას არქტიკის ხმელთაშუა ზღვას ან შემოკლებით არქტიკის ზღვას უწოდებენ და ატლანტის ერთ-ერთ ხმელთაშუა ზღვად განიხილავენ. ოკეანის ზედაპირის უდიდესი ნაწილი ყინულითაა დაფარული წლის ყველაზე ცივ თვეებში ან მთელი წლის განმავლობაში.

*მოამზადა გვრა მამულაშვილმა*

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 26 ივლისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **09.00, 12.00, 16.00, 19.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.45** ევროპული არჩევანი. **13.45** აღმოაჩინე საქართველო **14.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **15.00, 21.00** სერ. "**დეტექტივი**" **17.00** დოკ. ფილმი "სამყარო". **18.00** **ფეხბურთი: დილა** (გორი) – **ორხუსი** (დანია) (პირდ.) **22.00** დიალოგი დ.პაიჭაძესთან. **23.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **00.00** სიბემოლი. **01.00** მხ. ფილმი "**ჭეშმარიტი სახე**" (12) **02.50** საფარი. **03.40** მხ. ფილმი "**სასიყვარულო წერილი**" **05.10** დოკ. ფილმი "სამყარო" **06.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები"

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** დოკ. ფილმი **16.00** დოკ. ფილმი **17.00** სერ. "**მელოე შანსი**" **20.00** მხ. ფილმი "**საზღვრებს მიღმა**" 3-4 სერ. **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ.ფ."**როზმარის ბავშვი**"

**07.30** იმედის დილა **10.05** ან. ფილმი "სპანჯბობი" **10.30** სერ. "**მოპარული ბედნიერება**" **11.30** ქრონიკა+ **11.00, 11.30, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00** ქრონიკა **11.50** სერ. "**უკვდავი ამბავი**" **12.30** დღის შოუ **14.40** **100** გრადუსი (გან.) **17.40** სერ. "**მეწამული ცა**" **18.40** სერ. "**შურისძიების სახელით**" **21.00** სერ. "**მემკვიდრეები**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 3**" **23.00** კაცების შოუ. **00.00** თბილისი Live. **01.25** მხ. ფილმი "**რეალური სიყვარული**" **03.15** მხ. ფილმი "**ნიმფა**" **05.15** მხ. ფ. "**გამოსასყიდი**" **06.25** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**დედის გული**" **11.00** სერ. "**ეჭვი და სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** კომედი შოუ **17.00** სერ. "**ტერეზა**" **18.45** სერ. "**მგზნებარე გული**" **19.50** სერ."**ველური ყვავილი**" **22.00** ქართ. მხ. ფილმი "**ნეტავი იქ თეატრი არის?**" **23.00** შიშის ფაქტორი **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. "**ჩემი შეყვარებული**" **09.45, 12.00, 15.00, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფილმი **12.15** სერ. "**მარტოხელა მტრედის დაბრუნება**" **13.00** მხ. ფილმი **15.15** პულსი (გან.) **15.45** ან. ფილმი **17.10** სერ. "**ელიზა და რივომბროზა**" **18.00** მხ. ფილმი **19.00** გზა ლონდონისკენ **20.00** სერ. "**ტყუპები**" **21.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი **01.50** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 15.15** დოკ. ფილმი "**დედამიწის საგანძური**" **10.30** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი მაფიის წინააღმდეგ" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. "**საგა**" **12.50, 19.35** სერ. "**კეთილშობილი თაღლითები**" **13.50** სცენა **16.00** დოკ. ფილმი "პლატინის ქორწინებები" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი მაფიის წინააღმდეგ" **19.30** ანონსი. **23.00** მხ. ფ. "**კარგი ბიჭი**"

ერთსულოვნება **08.30** განთიადი **10.00, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55** ისტორიის დღიური **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.35, 21.25** უწიგნოდ თვადთახედვის ისარი მოკლეა. **10.40** დოკ. ფილმი "ჯვარსახოვანი გზა". **11.05** დრო და ადამიანები. **11.25** ჩვენი ტრაპეზი. **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.05** საეკლესიო კალენდარი. **12.15** მხ. ფ. "**ოთარაანთ ქვრივი**". **13.30** კონცერტი "თბილისური ავტოგრაფი". **15.05, 18.55, 22.55** ერთი ნივთის ისტორია. **15.10** განთიადის სტუმარი. **15.35** დოკ. ფილმი "ველური ბნუება". **16.00** დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფტან". **16.25** მხ. ფილმი "**ლესი**". **16.35** კვირიაკე. **17.05** საუკუნის პორტრეტები — კირიონ II. **18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.10** გუთნისდედა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **19.00** სიახლენი. **19.20** მხ. ფილმი "**ალყა**". **23.15** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები. **00.05, 02.30** სიახლენი. **00.35** განთიადის სტუმარი **00.55** კონცერტი "მაიკლ ბუბლე".

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

26 ivlisi

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6597

ევრო —2,0152

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779

რუსული რუბლი — 0,0512

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 31–33, ღამით — 14–21

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 34–40, ღამით — 20–24

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 23–24, ღამით — 10–11

## ამინდის პროგნოზი 26 ივლისისთვის




## იუმორი



❖ ❖ ❖

საელჩოში ვიზის გაფორმების წინ:

– ნარკოტიკებს თუ იღებთ?

– მე კანონმორჩილი მოქალაქე ვარ.

– გასაგებია, ჩასწერეთ – „მასპინძელი ქვეყნის კანონების მიხედვით...“

❖ ❖ ❖

ჰომოსექსუალური საქორწინო ცერემონიალის დროს:

– ახლა კი ერთ-ერთმა თქვენგანმა პატარძალს აკოცოს...

❖ ❖ ❖

– იცი, გუშინ ამირანი გარდაიცვალა. გასვენებაზე ხომ მიხვალ?

– ამირანი? ნორმალურად არც კი ვიცნობდი, აი, შენ რომ მომკვდარიყავი, აუცილებლად მოვიდოდი...

❖ ❖ ❖

–

დირექტორის თანაშემწის ტესტირებაა. კანდიდატს ეკითხებიან:

– წარმოიდგინეთ, რომ ორადგილიანი ავტომობილით მგზავრობთ. გზატკეცილზე სამი ადამიანი, თქვენი შეფი, ხანდაზმული მანდილოსანი და მომხიბვლელი გოგონა დაინახეთ, რომლებმაც დამგზავრება გთხოვეს. ღომელს მიანიჭებთ უპირატესობას?

– მანქანიდან გადმოვალ, გასაღებს შეფს მივცემ, რათა მან ხანდაზმული მანდილოსანი დანიშნულების ადგილას ჩაიყვანოს, თავად კი ახალგაზრდა გოგონასთან დავრჩები.

❖ ❖ ❖

სამი კატა გზაზე მისეირნობს. უცბად მათ წინ ზანგმა გადაურბინა...

გ. თ.

**სახელმწიფოს მიერ ავტორიზებული საზოგადოებრივი კოლეჯი „XXI საუკუნე“ აცხადებს მიღებას:**

- ფარმაცევტის თანაშემწე (V საფეხური)
- ტუროპერატორი (III, IV, V საფეხური)
- გიდი (I, II, III, IV საფეხური)
- ინფორმაციული ტექნოლოგიები (III საფეხური)
- ბუღალტერი (III, IV, V საფეხური)

I, II, III საფეხურზე მიიღებიან გასაუბრების წესით საბაზო (9-კლასდამთავრებულები) და საშუალო (12-კლასდამთავრებულები)

IV-V საფეხურზე შემომსვლელებს ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ გამოცდა „ზოგად უნარებში“

მისამართი: თბილისი, პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) №10, V სართ. ტელ.: 231 79 40, 231 79 41, 555 76 77 22, 599 33 53 92

## ქართველები ოლიმპიადას ისევ რუსული პრობლემით ხვდებიან

უკვე ზედიზედ მეორე ოლიმპიადაა, ქართველებისთვის სკანდალურად რომ იწყება. ორჯერვე მიზეზი რუსეთი აღმოჩნდა. ალბათ ყველას გვახსოვს 2008 წელს აგვისტოს მოვლენებით დაწყებული პეკინის ოლიმპიადა, ახლა რუსებმა ლონდონისთვის წარდგენილ სპორტსმენთა სიებში თავისუფალი სტილით მოჭიდავე დენის ცარგუშს დაბადების ადგილად და ქვეყანად გუდაუთა - რუსეთი უწერია, მის თანაგუნდელ ბესიკ კუდუხოვს კი – სამხრეთ ოსეთი -რუსეთი.



მსოფლიოს ორგზის და ევროპის სამგზის ჩემპიონი ცარგუში ეროვნებით მართლაც აფხაზია და გუდაუთაშია დაბადებული. ის ქართულ-აფხაზურ კონფლიქტამდე ცოტა ხნით ადრე გადავიდა მოსკოვში საცხოვრებლად და სავარჯიშოდ. მისი მამა კი იმ ომში ქართველთა წინააღმდეგ იბრძოდა.

დღეისათვის პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი ფალავანი, ოლიმპიური ბრინჯაოსმედალოსანი, მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის ჩემპიონი, ეროვნებით ოსი კუდუხოვი ქარელშია დაბადებული და ჭიდაობაც იქვე დაიწყო, თუმცა ადრევე წავიდა რუსეთში.



საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვებგვერდის ცნობით, ამ ფაქტს მოჰყვა სეოკ-ის მძაფრი პროტესტი და „ლონდონი 2012“-ის საორგანიზაციო კომიტეტში გაიგზავნა განცხადება მოთხოვნით, რათა გამოსწორდეს ეს შეცდომა და ზემოაღნიშნულ სპორტსმენებს დაბადების ადგილად მიეთითოს საქართველო.

აქვე გეტყვით, რომ ქართველები ოლიმპიადას ხვალიდან დაიწყებენ და ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ ჩვენი სპორტსმენების სრულ კალენდარს.

გეტყვით იმასაც, რომ წლევანდელი ოლიმპიადის ოქროსმედალოსნებისთვის ყველაზე მაღალ ფულად ჯილდოს საქართველო აწესებს. მედლების მიხედვით ოლიმპიური პრემიების საერთაშორისო რეიტინგს რადიო „თავისუფლების“ ევროპის ბიურო ავრცელებს.

ოქროს მედლის მფლობელებისთვის განკუთვნილი 1.200.000 აშშ დოლარით რეიტინგს საქართველო ლიდერობს. 510.000 აშშ დოლარით მეორე ადგილზე აზერბაიჯანია.

ვერცხლის მედალზე საქართველოს გრაფაში 30.000 დოლარია გაწერილი, ხოლო ბრინჯაოზე – 20.000.

მ. ჟ.

## ვიკილიქსის დამფუძნებელს ცნობილი ესპანელი იურისტი დაიცავს

ცნობილი ესპანელი იურისტი ბალტასარ გარსონი დაიცავს ვიკილიქსის დამფუძნებელ ჯულიან ასანჟს, რომელიც უკვე თვეზე მეტია, დიდ ბრიტანეთში ეკვადორის საელჩოში იმალება. ვიკილიქსის ინფორმაციით, გარსონი უკვე შეხვდა თავისი დაცვის ქვეშ მყოფს ეკვადორის საელჩოში, ლონდონში. მათ უკვე განიხილეს ასანჟისა და ვიკილიქსის დაცვის დეტალები.



გარსონი არაერთ გახმაურებულ საქმეს უძღვებოდა. მაგალითად, ის იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონისათვის ხელშეუხებლობის მოხსნას მოითხოვდა.

შეგახსენებთ, რომ ასანჟი ეჭვმიტანილია 2010 წელს შვედეთში გაუპატიურებასა და სექსუალურ ძალადობაში. შვედეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა იმავე წლის ნოემბერში მასზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადეს. ივნისში ასანჟმა ეკვადორის საელჩოს პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნით მიმართა.

ის შვედეთში რაიმე ტიპის კანონის დარღვევას უარყოფს და აცხადებს, რომ შვედეთში ექსტრადირების შემთხვევაში მას ამერიკაში გააგზავნიან, სადაც დარწმუნებულია, რომ სიკვდილით დასჯიან.

გასულ კვირას ეკვადორის პრეზიდენტმა რაფაელ კორეამ განაცხადა, რომ ძალიან სერიოზულად სწავლობს ამ საკითხს და ეკვადორი მიიღებს „სუვერენულ“ გადაწყვეტილებას. ეკვადორის მთავრობა აცხადებს, რომ ჯერ ყველაფერს დაწვრილებით გააანალიზებს, სანამ ასანჟისათვის პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭების საკითხს გადაწყვეტს.

გ. მ.

## fcnhjghjuyjpb

@^ ბეჯბსცბსცებს

**ვერძი** — ერიდეთ შორეულ მგზავრობას. ნუ გადაიღლებით. **კურო** — ფულს შოულობთ. ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კირჩხიბი** — სამსახურში სიახლეა. შესაძლოა, ხელფასი მოგიმატონ. **ლომი** — საქმიანი კონტაქტებისგან თავი შეიკავეთ. შინ დარჩით და დაისვენეთ. **ქალწული** — საყვარელი ადამიანი თქვენგან მეტ სითბოს ელის. **სასწორი** — თავმდაბლად იმუშავეთ. თქვენი შრომა შეუმჩნეველი არ დარჩება. **ღრიანკალი** — კარგი დღეა ახალი იდეების რეალიზაციისათვის. **მშვილდოსანი** — საყვარელი ადამიანი სიურპრიზს გიმზადებთ. **თხის რქა** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში. საქმე მოიცდის. **მერწყული** — ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. **თევზები** — კონფლიქტური დღეა. თავი შეიკავეთ მკვეთრი გამონათქვამებისგან.

უბცეჰეტ,ს ,ტლყბტჰ ლქტს=

## 4 ივლისიდან გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“




იტალიური კრიმინალური დაჯგუფებები, რომლებსაც კრებითი სახელით – „მაფია“ მოიხსენიებენ, XIX საუკუნის 60-იანი წლებისთვის ტრადიციული ბანდიტიზმის ნიადაგზე აღმოცენდა და მთელი სიცილია მოიცვა. მისი გავლენა მალე გასცდა იტალიის ფარგლებს და XX საუკუნის დასაწყისში ორგანიზაციის ათასობით წევრი, მეტწილად არალეგალურად, შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა. მალე მაფიის საცეცები ამერიკის ცხოვრების ყველა სფეროს მოედო, ხოლო ნარკოტიკებით ვაჭრობის ინდუსტრიაში მისი წამყვანი როლის გამო, მაფიამ საკუთარი ქსელი ბრიტანეთში, კანადასა და ავსტრალიაშიც შექმნა.

მაფიის წევრთა უმრავლესობა დაუნდობელი, ანტისოციალური ელემენტი და კრიმინალი იყო. მიუხედავად ამისა, მათი „ლამაზი“ ცხოვრების სტილი საზოგადოებისთვის ძალზე მიმზიდველი აღმოჩნდა – ათასობით კანონმორჩილი მოქალაქე დგებოდა რიგში ე.წ. განგსტერული ფილმების სანახავად, ხოლო ცნობილი პიროვნებები განგსტერების მხრიდან მის მიმართ გამოჩენილი ყურადღებით იწონებდნენ თავს.

„მაფიის ისტორია“ ალ კაპონეს, ლაკი ლუჩიანოს, ბენჯამინ „ბაგსი“ სიგალის, ტომაზო ბუშეტას და სხვა ცნობილი „მაფიოზების“ ცხოვრებაზე, მათი ოჯახების, კოდექსის, დანაშაულებისა და მკვლელობების შესახებ მოგვითხრობს. იგი წარმოადგენს ვრცელ და ამაღელვებელ ამბავს, რომელიც გაჟღენთილია სისხლით და აღსავსეა მუხანათობით...

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## h3xцex3eb ფ

**შვეულად:** 1. პოპულარული სიმღერა, მუსიკალური ნაწარმოები; 2. ხარისხის აღმნიშვნელი დამღა ოქროს ან ვერცხლის ნაკეთობაზე; 3. ტყვიის შემცველი ოპტიკური მინა; 5. რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი; 6. თანამედროვე ქრთველი მხატვარი; 8. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. ტრაგედია „რომეო და ჯულიეტას“ პერსონაჟი; 12. ხის კასრების მკეთებელი ოსტატი; 14. პაუზა მუსიკალურ მელოდიაში; 15. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩიკაგოს აეროპორტი.

**თარაზულად:** 1. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 4. ამერიკელი მრეწველი, საძინებელი სარკინიგზო ვაგონის გამომგონებელი; 7. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კორეული გემთმშენებელი კონცერნი; 9. ძველ რომაელთა ტანსაცმელი; 11. მედიცინეს ერთ-ერთი დარგი; 12. ქართველი სპორტული ჟურნალისტი ქალი; 13. სანადირო თოფით სასროლი მსხვილი ტყვია; 17. ზომიერი კლიმატური სარტყელის ვრცელი ველების სახელწოდება ჩრდილო ამერიკაში; 18. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 19. სპორტის სათამაშო სახეობა; 20. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | 2 | | ■ | 3 | ■ | 4 | 5 | | | | 6 | |
| | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ |
| | ■ | 7 | | | | | | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ |
| | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ |
| ■ | 8 | ■ | ■ | | ■ | ■ | 9 | | | | | | ■ | | ■ |
| ■ | | ■ | ■ | ■ | 10 | ■ | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | ■ |
| 11 | | | | | | | ■ | 12 | | | | | | | |
| ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | ■ |
| ■ | | ■ | ■ | 13 | | | | | | ■ | ■ | 14 | ■ | ■ | 15 |
| ■ | | ■ | 16 | ■ | | ■ | ■ | | ■ | 17 | | | | | |
| ■ | | ■ | | ■ | | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | |
| 18 | | | | ■ | | ■ | 19 | | | | | | | | |
| ■ | | ■ | | ■ | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | |
| 20 | | | | | | | | ■ | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | |